





ეროვნული ბიბლიოთეკა

619
1975















# დროშა

სექტემბერი
№ 9 1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰელსინკი. სასახლე „ფინეთი". ტრიბუნაზეა ლ. ი. ბრეჟნევი



საბჭოთა კავშირის დელეგაცია ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით სხდომათა დარბაზში.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ევროპის მშვიდობის განმტკიცების მთავარ პრობლემებზე თათბირის მიერ შემუშავებული დებულებანი ემსახურებიან ხალხთა ინტერესებს, ადამიანთა ინტერესებს მათი საქმიანობის, ეროვნების, ასაკის მიუხედავად — ემსახურებიან მუშათა, სოფლის მშრომელთა, ინტელექტუალური შრომის პირთა, ცალცალკე თითოეული ადამიანის და ერთად ყველა ადამიანთა ინტერესებს. ისინი გამსჭვალულია ადამიანისადმი პატივისცემით, ზრუნვით იმისათვის, რომ იგი ცხოვრობდეს მშვიდობის პირობებში და გულდაჯერებით შეჰყურებდეს მომავალს.

ლ. ი. ბრეჟნევი



# ევროპა მშვიდობის დიდ გზაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში წარმატებით დაამთავრა მუშაობა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა.

1 აგვისტოს, დღის ბოლოს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა უმაღლესმა ხელმძღვანელებმა თავიანთი ხელმოწერით დაამტკიცეს დასკვნითი აქტი — დოკუმენტი, რომელიც კონკრეტულ მატერიალურ შინაარსს ანიჭებს დაძაბულობის შენელებას და საფუძველს უყრის ევროპის კონტინენტის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

არა მარტო ევროპის კონტინენტის ხალხები, მთელი პლანეტის მილიონობით ადამიანი მღელვარებით ადევნებდა თვალს ევროპის სახელმწიფოთა მეთაურების ისტორიულ თათბირს.

მთელმა პროგრესულმა საზოგადოებამ დიდი შეფასება მისცა ამ მოვლენას.

ხანგრძლივი და ძნელი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება მოუხდათ ამ თათბირის მესვეურთ. ჰელსინკის ისტორიულ თათბირში მონაწილეობას იღებდა ევროპის 33 ქვეყანა, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა. თათბირზე სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის ყველა მეთაურმა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია და საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ხაზი გაესვა იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს მომავალში, რათა განხორციელდეს და კონკრეტული მატერიალური შინაარსი მიენიჭოს თათბირზე მიღებულ შეთანხმებებს, საერთაშორისო დაძაბულობის მთელ პროცესს.

„ჩვენი აზრით, თათბირის შეჯამებული შედეგი ის არის, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება სულ უფრო მეტი მოცულობით ივსება კონკრეტული მატერიალური შინაარსით, — მიუთითებდა თავის გამოსვლაში ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — სწორედ დაძაბულობის შენელების მატერიალიზაცია — აი, რა არის საქმის არსი, ყოველივე იმის არსი, რამაც ევროპის მშვიდობა ნამდვილად მტკიცე და ურყევი უნდა გახადოს. და ჩვენ ამ დროს ქვაკუთხედად მივიჩნევთ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, განიარაღების საქმეში რეალური შედეგების მიღწევის ამოცანას“.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში გამოხატულია სკკპ და მთელი საბჭოთა ხალხის ნება-სურვილი, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ხასიათი, ლენინური მშვიდობისმოყვარე პოლიტიკა, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცება.

ჰელსინკის თათბირის შემაჯამებელ დოკუმენტში გამოხატული აზრები მიმართულია მომავლისაკენ.

ევროპის კონტინენტისათვის იწყება თანამშრომლობისა და უშიშროების ერა.

ჰელსინკის თათბირის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ევროპისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებისათვის. ჰელსინკის თათბირის შედეგები სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის გამარჯვებაა, ეს არის ჩვენი პარტიის, საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ბრძოლის შედეგი, ლენინური საგარეო პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება. ეს არის თათბირის მონაწილეთა საერთო წარმატება, ეს არის გონების გამარჯვება. თათბირზე მიღწეულ შეთანხმებათა ცხოვრებაში პრაქტიკული განხორციელება კეთილ გავლენას მოახდენს ევროპის ხალხთა ცხოვრებაზე, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებაზე.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 9 (465) სექტემბერი. 1975 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა


© „დროშა“, 1975


მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გ. გახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ო. დემეტრაშვილი, გ. დოჩანაშვილი, ს. დურმიშიძე, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლ. სულაბერიძე, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი
კორექტორი ტ. თაბორიძე



მიმოზა ხუხუა
ზუგდიდის რ-ნი
სოფ. ცაიში



ეთერ ცირამუა
ჩხოროწყუს რ-ნი
სოფ. ჯაბუმე



მარინე ჯოლოგუა
ცხაკაიას რ-ნი
სოფ. ფოცხო



გულნარა სახოკია
წალენჯიხის რ-ნი
წალენჯიხა



ნარი ნიკოლაშვილი
მახარაძის რ-ნი
სოფ. აცანა



ლიდია კოსენკო
მახარაძის რ-ნი
ლაითურის საბჭოთა
მეურნეობა



ამირან ტოროტაძე
მახარაძის რ-ნი
სოფ. ლიხაური



თამარ ოსეფაიშვილი
ჩოხატაურის რ-ნი
სოფ. ხიდისთავი



იური ჯგერენაია
გალის რ-ნი
გალის საბჭოთა
მეურნეობა „მზიური"



მერი გაგუა
ზუგდიდის რ-ნი
სოფ. ახალი აბასთუმანი



ეთერ ნოდია
ცხაკაიას რ-ნი
სოფ. ფოცხო



ციალა სიხარულიძე
ჩოხატაურის რ-ნი
სოფ. ხიდისთავი



დოდო აქუბარდია
გალის რ-ნი
სოფ. ქუბურხინჯი



მზია ჯოჯუა
ზუგდიდის რ-ნი
სოფ. ახალსოფელი



გულნარა გოგიტიძე
ქობულეთის რ-ნი.
სოფ. ხუცუბანი



მერი დოლიძე
ჩოხატაურის რ-ნი
სოფ. განახლება



ჩიტო მესხიძე
ქობულეთის რ-ნი
სოფ. ლეღვა



თეთრიკო გეთია
ზუგდიდის რ-ნი
სოფ. კახათი



თინა მალაშხია
წალენჯიხის რ-ნი
სოფ. ნაკიფუ



ციალა ჯანაშვილი
მახარაძის რ-ნი
სოფ. შრომა

**სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად**

არ არის მეორე ისეთი შრომატევადი კულტურა, როგორიც ჩაი. იგი მთელი წლის მანძილზე მოითხოვს გულმოდგინე დაძაბულ შრომას. „თითოეული ბუჩქი ირწყვება არა მხოლოდ ე. წ. სუბტროპიკული წვიმით, არამედ მეჩაიეთა ოფლით", — მართებულად თქვა ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა ანთიმოზ როგავამ.

„ხატოვანი გაზვიადებაა", — გავიფიქრე მაშინ. ცოტა მოგვიანებით სოლიდურ წიგნში შევხვდი ასეთ შედარებას.

ჰექტარი ჩაის პლანტაციის მოვლისა და დამუშავებისათვის აუცილებლად საჭიროა 500 კაცდღე, სამჯერ მეტი, ვიდრე ერთი ჰექტარი ბამბის პლანტაციისათვის და კიდევ: ჰექტარი ჩაი შრომატევადობით 50-60 ჰექტარ მარცვლეულის ნათესს უდრის.

ახალსოფლელთა თავკაცი ანთიმოზ როგავა ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას ბრიგადის პლანტაციებისკენ გაგვიძღვა. ვინ არ იცნობს ამ სახელოვან მშრომელ ქალს. 30 წელი ყუფუნია მეჩაიეთა ბრიგადას ხელმძღვანელობს. თავისი შრომითი საქმეებით ბრიგადა მთელ ჩვენს ქვეყანაში გახდა ცნობილი.

ბრიგადის მეჩაიეებს ჰექტარზე ყოველწლიურად საშუალოდ ათ ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოჰყავთ. თამარი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს ბრიგადის წევრებს. მასზე ნახევარი ჰექტარი პლანტაცია არის გამიროვნებული. წელს ამ ნაკვეთზე 9,5 ტონა მწვანე ოქრო მოკრიფა. ჰექტარზე 19 ტონა ფოთოლი! მსოფლიოში ეს ყველაზე უხვი მოსავალია. თამარმა უკან ჩამოიტოვა ცეილონის ერთ-ერთი საცდელი სადგურის მიღწევა, სადაც ჰექტარზე გაანგარიშებით 15 ტონა ფოთოლს კრეფენ.

ექვს ათეულ წელზე მეტი აწევს მხრებზე დიდია თამარს, რომელსაც ყველა ასე სიყვარულით მიმართავს სოფელში, აქედან ოთხ ათეულ წელზე მეტი პლანტაციაში გაატარა. თამარი რამდენჯერმე იყო ქვეყნის პარლამენტის წევრი, ყრილობათა დელეგატი. მისი ოჯახი შეძლებულად ცხოვრობს. თამარს პენსია დაუნიშნეს, 120 მანეთი საკმაოდ სოლიდური თანხაა, შეუძლია დაისვენოს, უზრუნველად იცხოვროს, მაგრამ ვერ წარმოუდგენია პლანტაციებისა და ბრიგადის მიტოვება; კვლავ ახალგაზრდული ენერგიით უძღვება საქმეს. მის ბრიგადასთან გაჯიბრებასაც კი ვერავინ ბედავს, იციან, თამარს ვერავინ დაამარცხებს, ვერავინ აჯობებს.

— გამოკითხვა რომ ჩატარდეს, ვინ არის რესპუბლიკაში ნომერი პირველი მეჩაიე, ყველა თამარ ყუფუნიას დაასახელებს, — ამბობს ანთიმოზ როგავა.

* * *

მეჩაიეთა შრომა ნამდვილი გმირობაა, წამი და მოკრეფილია ხუთი მოვერცხლისფრო-მწვანე ყლორტი. ერთ წუთში ეს ციფრი 300-მდე იზრდება.

ბევრი მოწინავე მეჩაიე დღეში ას კილოგრამ ფოთოლს კრეფს. ეს იმას ნიშნავს, რომ მეჩაიემ შეასრულა სულ ცოტა 200 ათასი ელემენტარული მოძრაობა.

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მოწინავე მერგოლურმა, სოციალისტური შრომის გმირმა ტატიანა ჩხაიძემ 12 ტონა ფოთოლი მოკრიფა; ეს დაახლოებით 30 მილიონზე მეტი ფოთოლი, ანუ 60 ათასი 50-გრამიანი კოლოფი სურნელოვანი ქართული ჩაია.

ბევრჯერ მინახავს, თუ როგორ კრეფენ ფოთოლს ცნობილი ქართველი მეჩაიეები, სოციალისტური შრომის გმირები ქობულეთელი ქეთინო გოგიტიძე, ცხაკაიელი ტატიანა ტუღუშიავა, ოჩამჩირელი ცაცა ქარდავა, სოციალისტური შრომის გმირი და გმირი დედა, გეგეჭკორელი მარგო ჩიქვანაია.. ასე მუშაობა შეუძლიათ მხოლოდ ნამდვილ ვირტუოზებს, მათი ოსტატობა ხელოვნებაა. ისინი ხელის შეხებით გრძნობენ შემოსულ ყლორტს. მათ მიერ მოკრეფილი ჩაის ფოთოლი მუდამ პირველხარისხოვანია.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს თავი გამოიჩინეს გეგეჭკორის რაიონის გაჭედილის კოლმეურნეობა „ავანგარდის" მეჩაიემ ლუდიკო ბართაიამ. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს კოლმეურნეობის მეჩაიემ რაისა ჭოლოკუამ..

ქართველ მეჩაიეთა დამსახურება სათანადოდ შეაფასა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა: „ვფიქ-

# სიმღერა და საქმე ერთია

რობ, რომ ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლების ბევრ ოჯახში, და არა მარტო ჩვენი ქვეყნისა — სურნელოვანი ქართული ჩაის სმის დროს კეთილი სიტყვებით მოიხსენიებენ თქვენი რესპუბლიკის მეჩაიეებს".

* * *

საქართველო ამაყობს ჩაის ფოთლის მკრეფავთა დიდოსტატებით, მაგრამ ადამიანის ხელი მაინც ხელია, იგი იღლება. ქვეყანა კი სულ მეტ ჩაის მოითხოვს — ბალტიკიდან შორეულ კამჩატკამდე, ბარენცისა და ოხოტის ზღვიდან ალპებამდე.

ქართველ მეჩაიეებს გამოუჩნდა ქომაგი და დამხმარე. პლანტაციებში დასრიალებენ „მწვანე ველის ხომალდები" — ჩაის საკრეფი მანქანები „ჩა-900" და „საქართველო", რომლებიც ნიჭიერი ქართველი კონსტრუქტორების მრავალი წლის დაუღალავი შრომისა და ძიების ნაყოფია, მოუსვენარი აზრის ადამიანები სრულყოფენ მსოფლიოში პირველ ჩაის საკრეფ მანქანებს.

„ფოლადის მეჩაიეს" მექანიკური თითები სათუთად ეხება ჩაის ბუჩქს, ადვილად არჩევს შემოსულ ფოთოლს არა მარტო ბუჩქის ზედაპირზე, არამედ მის სიღრმესა და გვერდებზე. ერთი მანქანა 30-40 მკრეფავს ცვლის.

საქართველოში ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში პირველად განხორციელდა ჩაის მოყვანის კომპლექსური მექანიზაცია. აქ მანქანებით 500 ჰექტარზე მოჰყავთ ძვირფასი კულტურა. ცნობილი ინგირელი მექანიზატორი ვალერიან მეუნარგია თავისი „ხომალდით" დღეში საშუალოდ კრეფს 5 ტონაზე მეტ ფოთოლს, სეზონში კი — 150 ტონაზე მეტს.

ჩაის საკრეფი მანქანები სამართავად მსუბუქი და მოხერხებულია. მას მართავენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც. იმავე ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში კლარა დავითაია და ლოლა არღვლიანი ადრე ჩაის ხელით კრეფდნენ, ახლა მანქანის საჭეს მიუსხდნენ და მამაკაცებს ტოლს არ უდებენ.

გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღების საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე-მექანიზატორს მზია ბუთბაიას საქართველოში ერთადერთს მიეკუთვნა საკავშირო ჯილდო — ქვეყნის ცნობილი მექანიზატორი ქალის პაშა ანგელინას სახელობის პრიზი.

* * *

ქართული ჩაის პოპულარობა დიდი ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს; მოიპოვა მილიონობით უცხოელი ადამიანის სიმპათია.. იზრდება ქართული ჩაის თაყვანისმცემელთა რიგები.

ამ სასმელის უძველესმა დამფასებლებმა — ინგლისელებმა პირველად ქართული ჩაის ჭაშნიკი ოციოდე წლის წინათ გასინჯეს. ბრიტანეთის კუნძულებიდან მას შემდეგ ყოველწლიურად მოდის შეკვეთები ტრესტ „საქართველოს ჩაიში".

შავი და მწვანე ბაიხაოს ქართული ჩაი, „ექსტრა", „საქართველოს თაიგული", „უმაღლესი ხარისხის" იგზავნება აგრეთვე ბელგიაში, ფინეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, იუგოსლავიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, მონგოლეთში, სირიასა და მაროკოში, ალჟირში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და სხვა ქვეყნებში.

მეჩაიეობის კლასიკური ქვეყნის იაპონიის წარმომადგენლებმა, სამრეწველო ფირმის „იაპონიის ზღვის" პრეზიდენტმა, რომელიც საქართველოში იყო, ქართული ჩაი ასე შეამკო: მზად ვარ, შევისყიდო და იაპონიაში შევიტანო ათი ათასი ტონა ქართული ჩაი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო მხარში ამოუდგა მეჩაიეობის კლასიკურ ქვეყნებს: ჩინეთს, იაპონიას, ინდოეთს, ბირმას, ცეილონს... საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის 97 პროცენტი ჩვენს რესპუბლიკაზე მოდის.

ჩვენი ქვეყნისათვის საკუთარი წარმოების ჩაი მაინც არ არის საკმარისი. ჩვენ გაცილებით მეტი ჩაი გვინდა, ვიდრე ახლა ვამზადებთ.

მეათე ხუთწლედში დასახულია ჩაის პლანტაციების ფართობისა და მოსავლიანობის გადიდების ახალი პროგრამა.

ჩაის მწვანე ბუჩქები მოეფინება კოლხეთის ჭაობიან ველებს, რომლის ათვისება და აყვავებულ მხარედ გადაქცევა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს; ჩაი მოქარგავს იმერეთის ზეგნებს.

„დავაკმაყოფილოთ ქვეყნის მოთხოვნილება საკუთარი წარმოების მაღალხარისხოვანი ქართული ჩაით," — აი, ქართველ მეჩაიეთა საბრძოლო დევიზი.

დავით ბიწაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არის 310.000 ტონა ჩაის ფოთოლი!

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მორიგი სახელოვანი გამარჯვება მოიპოვეს რესპუბლიკის ჩაის პლანტაციის მშრომელებმა. აგვისტოს ბოლო დღეებში შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებმა მიიღეს და გადაამუშავეს 310.000 ტონა ნედლეული. ხუთწლედის დავალების გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდა 180.000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, რესპუბლიკის მეჩაიეებმა იკისრეს ვალდებულება დამატებით მოკრიფონ 15.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

## ბარაქალა თქვენს შრომას, ქართველო მეჩაიეებო!

**სტახანოვური მოძრაობა, როგორც სოციალისტური მეურნეობის მოწინავეთა ახალი მასობრივი მოძრაობა, დაიწყო 1935 წელს, მეორე ხუთწლედში. ეს იყო სოციალისტური შეჯიბრების ახალი ეტაპი შრომისნაყოფიერების გასაზრდელად.**

**ზუსტად ორმოცი წლის წინ, 30-31 აგვისტოს ღამით, ხუთი საათის განმავლობაში დონბასის სახელოვანმა მეშახტემ ალექსი სტახანოვმა მოანგრია 102 ტონა ქვანახშირი, რომელიც 14 ნორმას უდრიდა. ამით მან თვალსაჩინო რეკორდი დაამყარა. სტახანოვის შრომით წარმატებას გამოეხმაურნენ არა მარტო დონბასელი მეშახტეები, არამედ მთელი ჩვენი ძლევამოსილი ქვეყნის მუშები, კოლმეურნე გლეხები, დაიწყო სტახანოველთა მასობრივი მოძრაობა.**

**ქართველმა მუშებმა და კოლმეურნეებმა მაშინვე აუბეს მხარი ამ ახალ მზარდ წამოწყებას, მათ არა ერთი და ორი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს ჩვენი ქვეყნის ალმავლობის, მშვიდობიანი შრომის მატიანეში.**

# ერთი — ერთი პირველი

— შემთხვევა არ ყოფილა! — ხმამაღლა ჩახძახის ყურმილში საშუალო სიმაღლის, ტანსრული კაცი, მერე კიდევ უფრო უწევს ხმას, — მეშვიდე უბანი! გეგმა 275 ტონა, ფაქტი — 310 ტონა, მეცხრე უბანი — 305 და 312, მეათე — 300 და 301... 300 და 301 — შედარებით ხმადაბლა თქვა.

კარებში მდივანმა გოგონამ მორიდებით შემოჰყო თავი და თითქმის ჩურჩულით თქვა, — ჯიქიძე გელოდებათო.

ამ დროს ვასილ სამხარაძეს, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს დირექტორს, მიღება არა აქვს. ყოველ დილით 10 საათზე იგი წინა დღის შედეგებს აწვდის ტრესტს და ტრესტის მმართველიც რომ მოვიდეს, ალბათ, ლოდინი მოუწევს.

ვასილმა ყურმილიანი ხელი მთელ სიგრძეზე გაშალა და მდივანს იმავე ტონით, როგორითაც ცნობებს გადასცემდა, უთხრა, შემოვიდესო. მერე მარჯვენა ხელი ისევ მოკეცა და ტრესტთან საუბარი განაგრძო:

— გუშინ (15 აგვისტოს) სამმართველოს კოლექტივმა 1400-ის ნაცვლად 1500 ტონა მანგანუმის მადანი მოანგრია!

ბოლო წინადადებას რომ ამბობდა, ვასილის ჯმუხ, ოდნავ მსუქან სახეს უცნაური ღიმილი დასთამაშებდა.

მერე ენაზე მოადგა, ხუთწლიანი გეგმა პირველი აგვისტოსათვის გადაჭარბებით გავანაღდეთო. კიდევ კარგი, რომ არ უთხრა. ყოველდღიურ ცნობებში ასეთი მაჩვენებლები არ შედიოდა. თანაც მთელმა ტრესტმა, მთელმა ჭიათურამ იცოდა, რომ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 295.500-ის ნაცვლად პირველი აგვისტოსათვის მოანგრია 300.000 ტონაზე მეტი მანგანუმის მადანი.

როგორც იქნა, დაჯდა და კარებთან ატუზული ჯიქიძე მაგიდასთან მიიწვია.

ვასილი ისევ წამოდგა და ჯიბეებში ხელები ჩაიწყო.

— მაშ შენ ამბობ, რომ მაღაროდან უნდა წახვიდე, არა? კი მაგრამ, რამ გადაგრია, ბიძია, ამ ხნის კაცი?!

ჯიქიძე თავჩაღუნული იდგა და ქუდს აწვალებდა.

— რა ვიცი, ეს ოხერი, ვეღარ გავუძელი...

— ვეღარ გაუძელი? რას ვერ გაუძელი, ბიჭო?! მე მეგონა, სხვა მიზეზს იტყოდი, ჰმ, ვეღარ გავუძელიო, შემირცხვენია მე ასეთი მაღაროელი!

მიხეილ ჯიქიძე ახალბედა მაღაროელი არ არის, მაშ, რატომ აიცრუა გული საქმეზე?

გული სწყდება ძველ მაღაროელს, ისედაც თანდათან მიდიან მისი ასაკის ადამიანები პენსიაზე. ამ რამდენიმე თვის წინ კოლექტივი უხუცესმა გვირაბგამყვანმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა ლევან გაფრინდაშვილმა დატოვა. ალბათ, მოხუცდა, თორემ რა ეშმაკი შეუჯდებოდა თავში მაღაროზე უარი რომ ეთქმევინებინა?!

ტრიფონ ფოფხაძეც მოხუცდა.

1935 წლის 15 ოქტომბერს დილით პირველი სწორედ ტრიფონი შეხვდა ვასილს, ხელები გაშალა და უთხრა:

— რამ მოგანგრევინა, ბიჭო, ამდენი მარგანეცი?!.

ორმოცი წლის წინანდელ ამბავს იგონებს ვასილი, მაგიდაზე იდაყვებით დაყრდნობილი მოპირდაპირე კედელს შესცქერის, თითქოს არც ახსოვს ჯიქიძის იქ ყოფნა.

რამ მოგანგრევინა ამდენი მარგანეციო?!..

მართლაც, ბევრი იყო 52 ტონა 9 ტონის ნაცვლად!

იმ დღეს, 14 ოქტომბერს, 23 წლის ჭაბუკმა ვასილ სამხარაძემ 6 ნორმა შეასრულა. მაღაროდან რომ გამოვიდა, სად წასულიყო არ იცოდა, დიდხანს იტრიალა საგანრიგოში, მერე შინ მივიდა და მთელი ღამე თეთრად გაათენა.

— შენ გახსოვს? — მოულოდნელად ეკითხება ჯიქიძეს, რომელიც ისევ მაგიდის კუთხეში ზის და ჩაფიქრებულ დირექტორს გაოცებული შესცქერის, — ალექსი სტახანოვი გახსოვს? აი, კაცი ის იყო!

ალექსი სტახანოვი ვის არ ახსოვს, თუმცა მიხეილ ჯიქიძის თაობის ადამიანებს მხოლოდ გაგონილი აქვთ მისი სახელი — ისინი გვიან დაიბადნენ.

ბებიაჩემის სახლში ხის კედელზე შპალერის ნაცვლად გაკრული გაზეთებიდან ახლაც იცქირება ალექსი სტახანოვი. ბავშვობაში თითქმის ყოველ საღამოს, ძილის წინ ვხედავდი ამ კაცს მხარზე შემოდებული სანგრევი ჩაქუჩით.

— შენ რა გეხსომება, — მოაგონდა ვასილს, ჯიქიძე ჯერ 50-ისაც რომ არ არის, — ერთ ცვლაში ალექსი სტახანოვმა 14 ნორმა შეასრულა, გესმის, 14?! მე კი 6 ნორმა შევასრულე და ის გაუკვირდათ.

ოთახში სამმართველოს მთავარი ინჟინერი ნოდარ ჩხენკელი შემოვიდა.

— მოვილაპარაკეთ, — უთხრა ვასილმა ჯიქიძეს, — დღეს მაღაროში წახვალ!

ჯიქიძე გავიდა, ისე გავიდა, არაფერი უთქვამს, არც ჰო, არც არა. ნოდარ ჩხენკელმა მეორე უბნის საკითხი შეახსენა დირექტორს, როგორ მოვიქცეთო.

მეორე უბანი სამმართველოდან 3 კილომეტრითაა დაშორებული.

— ხომ არ გადმოგვეყვანა მთელი უბანი აქეთ, ცენტრალურ საგანრიგოში? — თქვა დირექტორმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ.

მთავარ ინჟინერს არაფერი უთქვამს, ეტყობოდა დაეთანხმა წინადადებას.

— განვიხილავთ ამ წინადადებას, — განაგრძო ვასილმა, — იქნებ სხვამ უკეთესი აზრი წამოაყენოს. მართლაც, ძალზე ძნელია კაცმა ყოველი ცვლის წინ 3 კილომეტრი გაიაროს საგანრიგომდე.



ვასილ სამხარაძე (მარცხნივ) და მეექსკავატორე ანდრო კაციტაძე.

ვასილ სამხარაძემ მაგიდის კალენდრის ფურცელზე რაღაც ჩაინიშნა. ფურცელი ისე იყო აჭრელებული ათასნაირი ჩანაწერით, რომ დირექტორმა ძლივს იპოვა ადგილი ორიოდე სიტყვის მისაწერად. ეს ხვალინდელი ფურცელი იყო.

...მაღაროში ათასობით კაცი იწყებს და ზოგი ტოვებს სამუშაოს, ასეა ცხოვრება. ამ წასვლა-მოსვლას თავისი ობიექტური მიზეზი აქვს, უმიზეზოდ არაფერი ხდება. მაგრამ ეს მიზეზიც ათასნაირია. ჯიქიძე გუშინდელი ყმაწვილი როდია, რომ უბრალო რამეზე გული აიცრუოს. მიდის, ე. ი. მაღაროში ყველაფერი რიგზე არ არის!

დირექტორი ოთახიდან გავიდა. მალე მოვბრუნდებიო, დაუბარა მდივანს და პირდაპირ მაღაროსკენ, ჯიქიძის უბნისკენ აიღო გეზი. ჯიქიძე ადგილზე არ დაუხვდა. არც უკითხავს, სად არისო. კარგა ხანს ესაუბრა მაღაროელებს; არავის არაფერი უთქვამს და, რაღა მარტო ერთს გაუჭირდა?!

თუ წასვლა უნდოდა, რაღა სტახანოველთა ზეიმს დაამთხვია მაინცდამაინც განცხადების დაწერა?

ვისთვის რა, და ვასილ სამხარაძისათვის სტახანოვური მოძრაობის 40 წლისთავი დიდი დღესასწაულია. ასე ჰგონია, თითქოს მას, ტრიფონ ფოფხაძეს, პეტრე ჭიტაძეს, ვანო ხვედელიძეს, აკაკი ცერცვაძეს, ლევან გაფრინდაშვილსა და სხვებს უხდიან ამ ზეიმს, ეს ამავე დროს ყველა მეშახტისა და მაღაროელის, ყველა მუშის, კოლმეურნის, ყველა მშრომელის ზეიმია. პირველ რიგში კი ქვანახშირისა და მანგანუმის მომპოვებლებისა.

ალექსი სტახანოვი ვასილ სამხარაძის იდეალია. სწორედ მისმა გაუგონარმა შრომითმა გმირობამ ჩააგონა ყმაწვილს რაღაც დიადი, სასახელო გაეკეთებინა.

მთელი 40-45 დღე ემზადებოდა ამ რაღაც დიადისათვის — 1935 წლის 1 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე. მაშინ გაზეთიდან ამოჭრა, დღეს ყველასათვის კარგად ცნობილი, ალექსი სტახანოვის სურათი და საწოლთან მიაკრა. ქვეშ ფერადი ფანქრით, ლამაზად მიაწერა: „ალექსი სტახანოვი. 1935 წლის 31 აგვისტოს მან დონეცის „ცენტრალნაია-ირმინოს" შახტში 102 ტონა ქვანახშირი მოანგრია". 20 დღის შემდეგ კი სურათის ქვეშ ასეთი წარწერა გაჩნდა: „ალექსი სტახანოვმა ერთ ცვლაში 227 ტონა ქვანახშირი მოიპოვა".

ახლა ეს სურათი აღარ აქვს ვასილს — სადღაც დაეკარგა. ორმოცი წელი მთელი ნახევარი ცხოვრებაა! რა არ ხდება ამ ხნის მანძილზე. ვასილმაც რა არ გადახდენია თავს, სად არ უმუშავნია, სად არ უსწავლია, პირველი ხუთწლედი გამოიარა, მერე ომიც გადაიტანა. ამასობაში, ამ შრომაში, ბრძოლასა და დავიდარაბაში სურათიც დაიკარგა თავისი წარწერით. კარგია ახლა რომ ჰქონდეს, რამდენ რამეს მოაგონებდა იგი...

შინ რომ მივიდა, საწერი მაგიდის უჯრები ამოქექა, ისე, ყოველი შემთხვევისათვის, თორემ კარგად იცოდა, სურათი იქ რომ არ იქნებოდა. მაინც უნდოდა, ... ეს პროცესი, ძებნის პროცესი, დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, უფრო ნათლად წარმოუდგენდა იმ დღეებს.

დღეს ვასილ სამხარაძე, ერთ-ერთი პირველი ქართველი სტახანოველი; 64 წლისაა.

მეტის მგონი არც ლევან გაფრინდაშვილია, პენსიაზე კი გავიდა, ტრიფონ ფოფხაძეც არ უნდა იყოს მთლად მოხუცი... გამოდის, რომ...

ამაზე ფიქრი არ სურს ვასილ სამხარაძეს.

პენსიაზე გასვლას ყოველთვის მოესწრება კაცი.

მანამდე კი, სანამ შეგიძლია, საქმე უნდა აკეთო!

საქმე კი, მადლობა ღმერთს, უამრავი აქვს მაღაროთა სამმართველოს დირექტორს.

ვასილს მაინც არ სჯერა, რომ ჯიქიძე მაღაროდან წავა, მართალია, განცხადება საკუთარი თვალით ნახა, დღესაც სამუშაოზე არ იყო, მაგრამ მაინც არ სჯერა. ნამდვილი მაღაროელი მაღაროდან ერთი ხელის დაკვრით არ წავა!

... ვასილი დილით ხშირად საბაგირო გზით ადის თავის „მაღაროში" (ასე ეძახის მაღაროთა სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში თავის სამუშაო კაბინეტს) მთელი ქალაქი ესალმება, დიდი და პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა...

ქართველ სტახანოვს მთელი ჭიათურა იცნობს.

სტახანოვური მოძრაობის 40 წლისთავის ზეიმის წინადღეს ვასილ სამხარაძის კაბინეტში მდივანი შევიდა და მოახსენა, ჯიქიძეს განცხადება უკან წაუღიაო.

ვასილი სკამიდან წამოხტა და მდივანს ნიშნისმოგებით უთხრა, ხომ გეუბნებოდით, თუმცა არც მდივნისათვის და არც არავისათვის ჯიქიძის შესახებ არაფერი უთქვამს.

— ხომ ვამბობდი, არ წავა-მეთქი, — დიდხანს იმეორებდა თავისთვის ძველი მაღაროელი.

ივერი ტაბიძე

## აქ ჩვენს მხარეში





სოხუმში, ზღვის სანაპიროზე, მწყობრში ჩადგა ლამაზი, თანამედროვე არქიტექტურული სტილით ნაგები ტურისტული სასტუმრო „სოხუმი".

შვიდსართულიანი სასტუმროს კომფორტაბელური ნომრები გათვალისწინებულია 500 მობინადრისათვის. ტურისტების დასვენებისათვის აქ ყველა პირობაა შექმნილი.

დამსვენებლებს მოემსახურება 800 ადგილიანი კინოდარბაზი, ბიბლიოთეკა, სასადილო-რესტორანი, კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსი.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში წელს შეუდგნენ ეკ-14 ტიპის ახალი ლოკომოტივის სერიულ წარმოებას, რომელიც გათვალისწინებულია მეტალურგიული მრეწველობისათვის. იგი შექმნა საწარმოს სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ.

ლოკომოტივს ცვლადი დენის ნაცვლად აქვს უფრო მძლავრი წევის ძრავები, რომლებიც დამზადებულია დახურული წესით, რაც ძალზე საიმედოა. მაგნიტურ-რელსიანი მუხრუჭების სპეციალური სისტემა უზრუნველყოფს შემადგენლობის სწრაფად გაჩერებას. სიჩქარეს აწესრიგებს ნახევარგამტარიანი სტატიკური გარდამქმნელი, ამიტომ ელმავალი გათვალისწინებულია კოქსის ქრობის პროცესის დისტანციური მართვისათვის.

ეკ-14 შეესაბამება სამრეწველო ესთეტიკისა და ერგონომიკის ყველა მოთხოვნას. მის საცდელ ნიმუშს ხარისხის უმაღლესი კატეგორია მიენიჭა.



„მონადირეთა სოფელი" — ასე უწოდებენ უშგულს, რომელიც ყველაზე მაღლა მდებარეობს არა მარტო მესტიის რაიონში, არამედ მთელს ევროპაში. აქ ყოველი კაცი მონადირეა და ყველა ზუსტად იცავს ნადირობის წესს, ვერ ნახავთ ბრაკონიერს.



გამოცდილი მონადირის აბრამ ნიჟარაძის ანგარიშზეა ასობით მოკლული დათვი, ფოცხვერი, მელა. აბრამს უყვარს ჭიხვზე ნადირობაც.

დღე არ გავა გიორგი ნიჟარაძემ, პიმენ ჰელიძემ, მუშნი ჩარკვიანმა, ვალერი ჰელიძემ, კონსტანტინე ჩარქსელიანმა და მათმა მეგობრებმა თითო მტაცებელი მაინც რომ არ გამოასალმონ წუთისოფელს. სამაგიეროდ, მონადირეები ყოველნაირად უწყობენ ხელს არწივების, ხოხბების, როჭოების გამრავლებას, რომლებიც უხვად არიან მდინარე ენგურის სათავის პიტალო მთათა ქარაფებში, ზაგაროს უღელტეხილზე.

ჭიათურის ზონის სოფლებში — ხრეითში, ნავარძეთში, ითხვისში, მუქრუთში, კალაურში, ვაჭევსა და კაცხში თითქმის ერთდროულად შემოეხსნა ხარაჩოები სასოფლო ბიბლიოთეკების ლამაზ შენობებს. იგი თავიანთი სახსრებით ააგეს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მერვე ტრესტის მექანიზაციის სამმართველომ, „ინჟმშენმა", „ჭიათურმშენმა", „ჭიათურშახტმშენმა", „ცენტრმეტალურგრემონტის" ზესტაფონის სამმართველოს უბანმა, „კოლმშენმა", ჭიათურის მანგანუმის ტრესტის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მშენებლებმა.

ქალაქის სამრეწველო საწარმოები და მშენებლობები აგებენ აგრეთვე კულტურის სახლებს, კლუბებს, სპორტულ კომპლექსებს, რომლებიც თავიანთი არქიტექტურით ტოლს არ უდებენ ქალაქის ასეთსავე ტიპის ნაგებობებს.



ალაზნის დაბლობზე ჯერ საკმაოდ არის დაჭაობებული მიწები. მისი დაშრობა და ათვისება დავალებული აქვს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წნორის მექანიზაციის მერვე სამმართველოს, რომელსაც სათავეში უდგას ინჟინერი ელგუჯა ბაწელაშვილი.

სამმართველოს კოლექტივმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უკვე ჩააბარა ხუთი ათას ჰექტარზე მეტი ნაჭაობარი. მარტო



ლაგოდეხის რაიონის გიორგეთის კოლმეურნეობაში დაშრობილია ექვსასი ჰექტარი ჭაობი, სიღნაღის რაიონის ვაქირის კოლმეურნეობაში — ასორმოცდაათი ჰექტარი, გურჯაანის რაიონის ბაკურციხის სანერგე მეურნეობაში — ასი ჰექტარი.

საუკუნეობით გამოუყენებელ მიწებზე მეურნეობები რგავენ ვაზსა და ხეხილს, თესავენ მარცვლეულს.

მომავალ ხუთწლედში მთლიანად დამთავრდება ალაზნის დაბლობის ჭაობიანი მიწების ათვისება, რომელიც ათიათასამდე ჰექტარი იქნება.

ალაზნის ველი... ვამბობთ ამ სიტყვებს და თვალწინ წარმოგვიდგება ქარვისფერი მტევნებით დახუნძლული ზვრები და ხეხილის ბაღები, პურისა და სიმინდის მოშრიალე ყანები... ხალხმა ტყუილად კი არ შეარქვა მას სიუხვის ველი.

ალაზნის ველი მალე სახელს გაითქვამს მეცხოველეობითაც.

წნორში შენდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოსაზრდელი და სასუქებელი კომპლექსი. ჩვენს რესპუბლიკაში და ამიერკავკასიაში იგი მაღალხარისხოვანი ხორცის უდიდესი საწარმო იქნება. აქ განხორციელდება ყველა შრომითი პროცესის სრული მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

„დროშის" კორესპონდენტი დ. ბიწაძე შეხვდა რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრს გივი დუჩიძეს და რამდენიმე კითხვით მიმართა მას:

ანზორ გოგოლაძის ფოტო


ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი გივი დუჩიძე.

# კოლორადო-წნორი



მცურავი სატუმბავი სადგური მდინარე ალაზანზე.

ზემძლავრი ექსკავატორი „ერტ-301" მშენებლობაზე.



**— რა ადგილს დაიჭერს კომპლექსი საქართველოს მეცხოველეობის განვითარებაში?**

— პასუხი უფრო დამაჯერებელი რომ იყოს, მივმართოთ ციფრებს: კომპლექსის განკარგულებაშია ათი ათასი ჰექტარი მიწა, რომელიც საუკუნეების მანძილზე დამლაშებული და გამოუყენებელი იყო. იგი მთლიანად გასარწყავდება და მარილებისაგან ჩაირეცხება. მთელ ამ ფართობზე საკვები კულტურები დაითესება.

კომპლექსი მთლიანად გათვალისწინებულია 25 ათასი სული პირუტყვისათვის. მათ შორის იქნება 12 ათასი სული ძროხა. ინტენსიური მეთოდით ყოველწლიურად გავასუქებთ ადგილზე მიღებულ 10 ათას სულ მოზარდ პირუტყვს და ვაწარმოებთ ოთხი ათას ტონაზე მეტ მაღალხარისხოვან ხორცს, რომელიც დააკმაყოფილებს ასი ათასზე მეტ ადამიანს.

თუ რაოდენ დიდია ეს ციფრები, მკითხველმა განსაჯოს. ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედი ყველაზე დიდი მეცხოველეობის მეურნეობა მხოლოდ ხუთასამდე ძროხას ითვლის.

**— ვინ მონაწილეობს მეცხრე ხუთწლედის ამ უდიდეს მშენებლობაში?**

— კომპლექსი შენდება განთქმულ ამერიკულ ფირმასთან „ჩილევიჩ ი კომპანიასთან" თანამშრომლობით, რომლის მესვეურია ცნობილი ბიზნესმენი არონ ჩილევიჩი. მისი მემკვიდრე საიმონ ჩილევიჩი და ფირმის პრეზიდენტი ფრენკ სეკლერი რამდენჯერმე იყვნენ საქართველოში. მათ მოეწონათ მომავალი კომპლექსის მიდამოები, მისი პროექტი, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა დამოუკიდებლად შექმნეს.

საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად მეც გახლდით ამერიკის შეერთებულ შტატებში. კოლორადოს შტატში გავეცანით ფირმის მუშაობას. მას მჭიდრო კომერციული ურთიერთობა აქვს მსოფლიოს ბევრ ქვეყანასთან. უკანასკნელ დროს საქმიანი კავშირი დამყარდა ჩვენს ქვეყანასთანაც.

საკავშირო ექსპორტ-იმპორტის გაერთიანება „ტრაქტორექსპორტის" მეშვეობით დაიდო გრძელვადიანი შეთანხმება საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და კოლორადოელ მეცხოველეთა შორის. წნორის მეცხოველეობის კომპლექსი ამ ურთიერთთანამშრომლობის ერთ-ერთი პირმშოა.

**— რა მოწყობილობას ღებულობთ ამერიკის შეერთებული შტატებიდან? რა როლი ეკუთვნის მას კომპლექსის ტექნიკურ აღჭურვაში?**

— ამერიკის ფირმისაგან მიღებულია კომბინირებული საკვების ქარხნის მთლიანი მოწყობილობა, „ფორდის" მარკის სატვირთო ავტომანქანები, „ოსვალტის" სისტემის საკვებსარიგებლები, რომლებიც კომპლექსის „ბინადართ" საკვებს მექანიკურად „მიართმევს".

ამ ზაფხულს წნორში იყვნენ ამერიკელი სპეციალისტები რობერტ ბიორკმანი და ვილფრედ ქოუ. ისინი ქართველ სპეციალისტებს კონსულტაციას უწევდნენ ქარხნის მოწყობილობათა დამონტაჟებაში.

ახალი საწარმო აღჭურვილია ზუსტი საზომი ხელსაწყოებით, მართვის ორიგინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური დანადგარებით. შრომითი პროცესების ავტომატიზაციის წყალობით აქ რამდენიმე კაცი იმუშავებს და ასობით ტონა საკვებს გამოუშვებს.

კომპლექსის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოძმე სოციალისტური ქვეყნები. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გვაწვდის ფოლადის დიდგაბარიტიან მილებს, ორ ე. წ. მცურავ ავტომატურ სატუმბავ სადგურს, რომლებიც მდინარე ალაზანზე დაიდგმება და სხვა მოწყობილობას.

წნორის კომპლექსს ჩვენი დიადი ქვეყანა აშენებს. თითქმის ყოველდღიურად მოდიან ეშელონები წნორის სადგურში, მოაქვთ ლითონის მილები ნოვომოსკოვსკიდან, ჩელიაბინსკიდან, ჟდანოვიდან, ვორსკიდან, ხარცინსკიდან, აზბესტ-ბეტონის ნაწარმი — სომხეთიდან, ბელგოროდიდან, ჩიმკენტიდან, რკინა-ბეტონის ნაკეთობანი — მოძმე აზერბაიჯანის დოლიარისა და საბირაბადის ქარხნებიდან, თიხის მილები — ვილნიუსიდან, ზემძლავრი ექსკავატორები — ბრიანსკიდან, „ფრეგატის“ სისტემის ხელოვნურ დასაწვიმებელ აგრეგატებს ნევისპირა ლენინის ქალაქიდან ვიღებთ და ა. შ.

**— რაში მდგომარეობს პირუტყვის გამოზრდისა და სუქების მაღალეფექტური სისტემა, რომელიც კომპლექსში განხორციელდება?**

— აქ გამოყენებული მეთოდის მთავარი უპირატესობა დროის რაციონალური გამოყენება არის. თუ ამჟამად პირუტყვის სუქება და მისი საჭირო კონდიციამდე — დაახლოებით 360 კილოგრამამდე გამოზრდა სამ წლამდე გრძელდება, ახალ კომპლექსში ეს ვადა 16 თვემდე შემცირდება. ამის თავმდებია სუქების კონვეიერული მეთოდი, რომლის დროს საძოვრები სრული დატვირთვით გამოიყენება. საძოვრები დაყოფილია ნაკვეთებად და შემოღობილია. ერთი კვირის შემდეგ პირუტყვი გადაჰყავთ შემდეგ ნაკვეთში. მეოთხე კვირას იგი კვლავ პირველ ნაკვეთს დაუბრუნდება. ამ ხნის განმავლობაში აქ ბალახი საკმაოდ იზრდება.

კოლორადოელ მეცხოველეთა მაგალითით პირუტყვი ღია ცის ქვეშ იქნება, რაც ხელს შეუწყობს მის ინტენსიურ განვითარებას. ძროხებს არ მოწველიან, ხბოები მათთან იქნება გაშვებული.

კომპლექსს ექვსი ფერმა, ვეტერინალური სამსახური, სადეზინფექციო ბარიერი აქვს. პირუტყვის განვითარების მოთხოვნებს დაამუშავებს აგრეთვე სამეცნიერო სამსახური, რომელიც აქ შეიქმნა და სათავეში ჩაუდგა ცნობილი მეცნიერი — სელექციონერი, პროფესორი მიხეილ რჩეულიშვილი.

**— ასეთ რთულ ინდუსტრიულ ობიექტზე რომ იმუშაო, საჭიროა სპეციალური ცოდნა. როგორ წყდება კადრების მომზადების პრობლემა?**

— მეცხოველეობის მსგავსი მეურნეობა როსტოვის ოლქშიც არის. ესაა „ბრატსკის“ საბჭოთა მეურნეობა, რომელიც აგრეთვე ამერიკულმა ფირმამ აღჭურვა. არსებობის ხუთი წლის მანძილზე მისმა კოლექტივმა მეცხოველეობის განვითარების ახალი მეთოდების დანერგვაში საკმაო გამოცდილება დააგროვა. მათთან მივავლინეთ ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი. მათ შეისწავლეს რთული ტექნიკის მართვა, პირუტყვის მოვლის ახალი ტექნოლოგია. ახლა ისინი კომპლექსში შრომობენ.

**— როგორ მიმდინარეობს ალაზნის გიგანტის მშენებლობა?**

— მუშაობა თავიდანვე ნაყოფიერად წარიმართა. მომავალი კომპლექსის დაპროექტების საქმეს კარგად გაართვეს თავი საპროექტო ინსტიტუტებმა „წყალპროექტმა“ და „სოფლმშენმა“.

მშენებლობის დასაჩქარებლად რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ წნორში შექმნა სამშენებლო სამმართველო. მას სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი ახალგაზრდა ინჟინერი ანზორ მუსერიძე. წნორის კომპლექსს აშენებს აგრეთვე სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გურჯაანის ტრესტის მოძრავი მექანიზებული კოლონა.

მშენებლობამ მძლავრად გაშალა ფრთები. უკვე გამოიკვეთა კომპლექსის კონტურები. ვრცელი ფართობი საავტომობილო გზებით, სარწყავი და სადრენაჟო არხებით დაისერა, რომელთა სიგრძე ასეული კილომეტრია.

დაიდგა ოთხი ათეული ხელოვნური დასაწვიმებელი აგრეგატი „ფრეგატი“. მას ოთხი ათასამდე ჰექტარ ფართობზე მოჰყავს წვიმა „დაკვეთით“, წყალს კი ალაზნის სატუმბავი სადგურებიდან იღებს. ეს ფართობი, რომელზეც წინათ ბალახიც არ ხარობდა, მორწყვის შედეგად თანდათან თავისუფლდება მარილებისაგან. „გაჯანსაღებულ“ ფართობზე უკვე მარცვლეულისა და საკვები კულტურების მაღალ მოსავალს იღებენ და ჯიშიან პირუტყვს კვებავენ, რომელიც აქ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკიდან და ჩვენი ქვეყნის მოწინავე ჯიშთსანაშენე მეურნეობებიდან შემოიყვანეს.

წნორის კომპლექსის კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგას ენერგიული სამეურნეო მუშაკი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ავთანდილ დოლმაზაშვილი, ახლა უკვე თითქმის ორნახევარჯერ მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აწარმოებს, ვიდრე ერთად აღებული წნორისა და საქობოს მეურნეობები აწარმოებდნენ.

ხორცის წარმოების გიგანტი მთელი სიმძლავრით მწყობრში მეათე ხუთწლედის პირველი წლის ბოლოს ჩადგება. ახლა აქ ხალისიანი შემოქმედებითი შრომა ჩქეფს. დღე-ღამის განმავლობაში არ წყდება მოტორების გუგუნი. მიწას შეჭიდებიან მძლავრი ექსკავატორები, სკრეპერები, ბულდოზერები და გრეიდერები, გაჰყავთ ახალი არხები, ითვისებენ ყამირს.

ჩვენი რესპუბლიკის ამ დიად მშენებლობაზე ასობით ადამიანი შრომობს, ყველა მოწინავეა, მაგრამ მჯობნის მჯობნს რა გამოლევს: ოთარ ბეჟაშვილი, რუბენ უძილაური, მიხეილ ვოდნევი, იასონ ბეჟუაშვილი, გურამ ჯიღაურიშვილი, პეტრე პოპიაშვილი და მათი მეგობრები ჩაბმული არიან მშობლიური კომუნისტური პარტიის მორიგი XXV ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებენ. ბარაქალა მათ მარჯვენას!

ალაზნის დაბლობის შოროქნის „მშიერი ველის“ მორწყვა, განმარილება, ათვისება და ადამიანის სასიკეთოდ გამოყენება საუკუნეების მანძილზე ოცნება იყო, რომელიც ჩვენს დროში ხინამდვილედ იქცა.

წნორის კომპლექსის კომბინირებული საკვების ქარხანა.







ეროვნული ბიბლიოთეკა

ანატოლი ციბა მიწის ზემოთაც აქტიურად მონაწილეობს მეშახტეთა საქმიანობაში.





# ანატოლი ციბა

ალექსანდრე სააკოვის ფოტო

ანატოლი ციბა სამუშაოზე მიეშურება



ანატოლი ციბა სოხუმელ მეზღვაურებთან.



ანატოლი ციბა — ვის არ გაუგონია ტყვარჩელელი მეშახტის ეს სახელი. შრომამ აქცია იგი ცნობილ ადამიანად, შრომამ მოუპოვა მას საყოველთაო-სახალხო აღიარება და სიყვარული. ლენინის ორდენოსანი მუშაკაცი მეორედ აირჩიეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იგი აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიისა და აფხაზეთის კომკავშირის საოლქო კომიტეტის წევრია.

ანატოლი ციბა ახალბედა მეშახტეთა უპირველესი დამრიგებელი და მეგობარია. ეხმარება სხვებს და თვითონაც სწავლობს — მოსკოვის სამთო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტია.

ხალხის რჩეული — ანატოლი ციბა პირნათლად ასრულებს დეპუტატის საპატიო მოვალეობას.

# ივანე ჯავახიშვილი და ქართული მედიცინის საკითხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მრავალმხრივ სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადო მოღვაწეობაზე მრავალი მონოგრაფია, საჟურნალო თუ საგაზეთო სტატიაა გამოქვეყნებული. შრომებში გაშუქებულია ის უდიდესი ღვაწლი და დამსახურება, რომელიც სახელოვან მკვლევარს ქართველი ერის, მისი მეცნიერებისა და კულტურის ისტორიის საკითხების შესწავლა-დამუშავებაში, ქართული უნივერსიტეტის დაარსებასა და მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეში მიუძღვის, მაგრამ ნაკლებადაა შესწავლილი ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული მედიცინის ისტორიის რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქებაში.

ივანე ჯავახიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული მედიცინის ისტორიის შესწავლის საქმეში. მის მიერ სათანადო მეცნიერული აპარატით აღჭურვილი არა ერთი და ორი პირველწყარო დაედო საფუძვლად შემდეგში მედიცინის ისტორიის საკითხების გაშუქება-დაზუსტებას.

ივ. ჯავახიშვილმა პირველმა მიუთითა წყაროთა ისეთ ჯგუფზე, რომელთა მნიშვნელობა მანამდე უგულებელყოფილი იყო. ისტორიკოსები გატაცებული იყვნენ „ქართლის ცხოვრებით“, სიგელ-გუჯრებით და უყურადღებოდ რჩებოდათ ისეთი მნიშვნელოვანი წყარო, როგორიც ჰაგიოგრაფიული ლიტერატურაა. ქართული მედიცინის ისტორიის მრავალი საკითხია გაშუქებული ჰაგიოგრაფიულ წყაროებში (მაგალითად, „შუშანიკის წამება“, „პეტრე იბერიელის ცხოვრება“). აღარაფერს ვამბობთ იმ მნიშვნელობის შესახებ, რასაც ივ. ჯავახიშვილი ანიჭებდა არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილ მასალას, როგორც მედიცინის ისტორიის უძველესი პერიოდის ძვირფას წყაროს.

1946 წელს გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“, რომელშიც ავტორი ქართული მედიცინის ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს, როგორიცაა სამკურნალო და ჰიგიენური დანიშნულების ნაგებობანი ძველ საქართველოში.

ივ. ჯავახიშვილი „პეტრე იბერიელის ცხოვრების“ სირიული ტექსტის საფუძველზე მიუთითებს, რომ პეტრე იბერიელის დედას ბაკურდუხტს მოგზაურთათვის სასტუმროები და საავადმყოფოები აუშენებია. ამავე წიგნში დაწვრილებით განიხილავს „ქართლის ცხოვრების“ ცნობას დავით აღმაშენებლის მიერ ქსენონის (საავადმყოფოს) აშენების შესახებ.

ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში, ვაჰანის მონასტრის წესდებაში, იოანე შეყენებულის ცხოვრებაში, ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობის აღწერასა და სხვა პირველწყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ სასნეულოები არსებობდა როგორც ქალაქად, ისე დიდ მონასტრებთან. საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის მიერ მოყვანილი ერთ-ერთი ცნობა. სასნეულოში მოთავსებულ „უძლურმყოფთ“ — „სნეულებს“ ჰიჩენილი ჰყავდათ მომვლელი-მესნეულე: „...ყოვლად განკრძალული ერთი და ღმრთის მოშიში მონაზონი მესნეულედცა განიჩინებოდის და უძლურმყოფთა ძმათა ჰმსახურებდის, ყოველსა სახმარსა მათსა დღითი-დღე სამგზის მოჰვლიდეს და მოიხილვიდეს“ (ივ. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი II, ნაკვეთი II, ტფილისი, 1929 წ., გვ. 62).

საყურადღებოა, რომ „მესნეულე“, რომელიც სასულიერო პირთაგან ირჩეოდა, გარკვეული თვისებებით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული. რასაკვირველია, ამ თვისებათა შორის სამედიცინო ცოდნაც იგულისხმებოდა. სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო სამკურნალო „ლუაწლთა სნეულთასა გამოცდილი“ (იგივე ნაშრომი).

ივ. ჯავახიშვილის მიერ მოყვანილი ცნობიდან ჩანს, რომ სასნეულოს შემოსავალიც ჰქონდა. მაგალითად, ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში ოქროპირ ხარაზის შესახებ აღნიშნულია: „ამავე ოქროპირისა ნაშენებნი ზეთისხილნი განუწესენით სასნეულოს წმიდისა ირინეს ხატსა, რათა შემდგომად მისსა, ვინცა მესნეულე იყოს, იგი ურვოდეს დასნეულებულთა ახმარებდის“.

ივ. ჯავახიშვილს განზრახული ჰქონდა, ზემოაღნიშნული საკითხები უფრო ფართოდ სპეციალურ ნაშრომში განეხილა. იგი წერს: „განსაკუთრებულ მონოგრაფიას „ადამიანის ჯანმრთელობა და ჯანმრთელობისათვის მზრუნველობა ძველ საქართველოში“ დასაბეჭდად ვამზადებ, რომელშიაც ეს საყურადღებო პრობლემები დაწვრილებით იქნება განხილული“. აღნიშნული ნაშრომი არ დაბეჭდილა, ხოლო ხელნაწერს რა ბედი ეწია, არ ვიცით.

ივ. ჯავახიშვილი განიხილავს ჰიგიენური თვალსაზრისით ადამიანისთვის ისეთ საჭირო ნაგებობას, როგორიცაა აბანო. ისტორიულ-არქეოლოგიურ და მხატვრულ ლიტერატურაზე დაყრდნობით იგი მიუთითებს, რომ საქართველოში ძველთაგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა აბანოს მშენებლობას. აბანოები აგებული ყოფილა როგორც ქალაქად, ასევე სოფლად (თბილისში, მცხეთაში, ქუთაისში, გეგუთში, თელავში, დმანისში და სხვ.). იქ, სადაც არ იყო ბუნებრივი ცხელი წყალი, ხელოვნურ აბანოებს აგებდნენ.

ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ აბანოების ერთი ნაწილი ბერძნულ-რომაულზე უფრო ადრინდელი პერიოდისაა, მეორე ბერძნულ-რომაული ხანისაა, ხოლო მესამე — არაბულ-სპარსული. ცალკეა XVII-XVIII საუკუნეების აბანოები, რომელთა ნაშთი მეფე ერეკლესეულ თელავის სასახლეშია შემორჩენილი.

ივ. ჯავახიშვილმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ადამიანის პრობლემას ძველ ქართულ მწერლობაში („ქართული ენისა და მწერლობის საკითხები“, ი. აბულაძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1956 წ.). ეს გამოკვლევა საინტერესოა ძველი ქართული მედიცინის ისტორიის თვალსაზრისითაც, რადგან მასში განხილულია ძველ ქართულ წყაროებში შემორჩენილი ცნობები ადამიანის ასაკისა და ორგანიზმში მიმდინარე ზოგიერთი სასიცოცხლო პროცესის შესახებ.

ივანე ჯავახიშვილი მდიდარი მასალის ანალიზის საფუძველზე ადგენს, რომ ძველად საქართველოში ადამიანის სიცოცხლე ორ მთავარ ნაწილად იყოფოდა. პირველ ნაწილს ყრმობა ეწოდებოდა, მეორეს — ჰასაკი. ყრმობა ბავშვობის ხანას შეესატყვისებოდა. მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, XII საუკუნიდან ტერმინ ყრმობას საზოგადო-ფართო მნიშვნელობა მიუღია და მას ახალგაზრდობის გამოსახატავადაც ხმარობდნენ.

ჰასაკი რადგან სიმწიფის ხანიდან იწყებოდა, ამიტომ „უჰასაკოი“ სქესობრივ მოუმწიფებლობას, ხოლო „ჰასაკად მოსვლაი“ სქესობრივად მომწიფებას ნიშნავდა; „რა ჟამს ჰასაკად მოვიდნენ, ორივემ მაშინ იქორწინეს“, — ნათქვამია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლში. ჩანს, ქალისათვის სქესობრივი მომწიფების ხანად მეცამეტე წელი ითვლებოდა, ხოლო მამაკაცისათვის — 16 წელი. სრულწლოვანება — „ჰასაკი სისრულისა“ სხვადასხვაგვარი იყო: სამოქალაქო, პოლიტიკური და სამხედრო. ეს სამი ცნება განსხვავებულ ასაკს გულისხმობდა. ძველ საქართველოში ჰასაკი სამ პერიოდად იყოფოდა: „ჭაბუკი“, „შუაკაცი“ და „ბერი“. ღრმა მოხუცებულობას „დღეთა სიმრავლითა მიმცხოვნებული“ ეწოდებოდა. ივ. ჯავახიშვილის მიერ მოყვანილი ეს ცნობები მნიშვნელოვნად ავსებენ იმ მონაცემებს, რომლებიც ასაკის შესახებ ძველ ქართულ სამედიცინო წიგნებში არის წარმოდგენილი.

ივ. ჯავახიშვილი დიდი ყურადღებით მარტო ქართული მედიცინის ისტორიის საკითხების შესწავლას როდი ეკიდებოდა. იგი, როგორც ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი, მზრუნველობას იჩენდა ქართული სამედიცინო კადრების აღზრდისადმი.

1917 წლის 12 ოქტომბერს ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების სხდომაზე ივ. ჯავახიშვილი არჩეულ იქნა იმ კომისიის წევრად, რომელსაც დავალებული ჰქონდა მომავალ უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის ორგანიზაციის საკითხი, რასაც ბრწყინვალედ გაართვა თავი სხვა ქართველ მეცნიერებთან ერთად (სპ. ვირსალაძე, გრ. მუხაძე, ვ. თიკანაძე და სხვები).

ივ. ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოში კლინიკების გახსნას, სამედიცინო ლიტერატურისა და სამეცნიერო აპარატურის შეძენას. მისი ინიციატივით შეძენილ იქნა ფრანგული სამკურნალო წიგნთსაცავი, აღიძრა შუამდგომლობა რენტგენის კაბინეტის შესაძენად. ივ. ჯავახიშვილს დამსახურება მიუძღვის ანატომიური ტერმინოლოგიის მეცნიერულად დამუშავების საქმეში და სხვ.

ივ. ჯავახიშვილი, აჯამებდა რა უნივერსიტეტის 6 წლის მუშაობას, აღნიშნავდა: „საქართველოს უმაღლესი განათლების და სამეცნიერო კვლევარების ტაძარი — უნივერსიტეტი... ცდილობს ხელი შეუწყოს ჩვენი ხალხის გაჯანსაღებას. მის გონებრივსა და კულტურულ ჯანმრთელობას, სასოფლო მეურნეობის დაწინაურებასა და ეკონომიური კეთილდღეობის შესაფერისი ნიადაგის შემზადებას. ამ 6 წლის განმავლობაში მრავალი მშვენივრად მოწყობილი ახალი დაწესებულებანი, ლაბორატორიები და კლინიკები შესძინა, სხვადასხვა სამეცნიერო თუ პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებით წამოყენებული საკითხები შეისწავლა და გამოკვლევები გამოაქვეყნა. უნივერსიტეტის ყოველი ფაკულტეტი თავის სფეროში დიდ მუშაობას აწარმოებდა და აწარმოებს, რომლის უაღრესი მნიშვნელობა ჩვენი ერის წარმატებისათვის უახლეს დროში ყველასთვის ცხადი და აუცილებელი იქნება“. (ოქტომბრის რევოლუციის არქივი, ფონდი 471, ანაწერი I, საქმე 74, გვ. 164-165).

ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების შემდგომმა წლებმა დაადასტურეს დიდი მეცნიერის ეს წინასწარმეტყველება.

ციალა ჩხეიძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტი.

# პატარა მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა



**როსტომ ბეჟანიშვილი**



## ჭ ე რ ი

საბურთალოზე, არა მარტო მუშებისა და ინჟინრებისათვის, კალათებით დატვირთული დიასახლისებისათვის და ქუჩაში ყირაზე გადასული ბავშვებისათვისაც რომ გეკითხათ, ყველამ იცოდა დურგალ ოთარ ადეიშვილის სახელი. შეიძლება ნანახი არა ჰყავდათ ეს მაღალი, ჭმუხი, ქარითა და ყინვით სახეაჭარხლებული ოცდათხუთმეტიოდე წლის კაცი, მაგრამ გაგებული აუცილებლად ჰქონდათ.

რით გაითქვა სახელი ამ ერთი შეხედვით მოლუშულმა, პირაკრულმა კაცმა, მთელ სამუშაოს ჩუმად, უხმაუროდ და ფახიფუხის გარეშე რომ აკეთებდა? რითი და სულ უბრალო რამით: როცა სახლის კედლები აყვანილი იყო, ოთარს ჭერის გადასახურად მოიწვევდნენ — სახლის გადახურვის უბადლო ოსტატი იყო.

— გადაუხურავი სახლი უქუდო კაცსა ჰგავს, — უყვარდა თქმა ოთარს, — ჭერი სახლის ნამუსია...

სიტყვის კაცი იყო ადეიშვილი. თუ იტყოდა — გააკეთებდა კიდეც. თავს გადააკლავდა, დღე-ღამეს გაასწორებდა, დანაპირებს კი შეასრულებდა.

უკანასკნელი სახლი ნამდვილად გაუჭანჭლდა. ეს რა დოზანა იყო, თავი და ბოლო რომ ვერ გაუგო. მომავალი მობინადრენი არ ასვენებდნენ. დილიდან სალამომდე მუშტრის თვალით ათვალიერებდნენ სახლს. ზოგიერთი მუშებს უმასპინძლდებოდა, რათა მათთვის განკუთვნილ ბინას განსაკუთრებული გულისხმიერებით მოკიდებოდნენ... ერთი ლაჟღაჟა, ლაბუა ჩიტივით ჩიჩახვჩამობერილი ქალი შემოუჩნდათ. ყოველ დილით მოინახულებდა მშენებლებს, კალათებით დატვირთული კიბეზე ძლივს ამოფორთხდებოდა და ჭრელი თვალების უცნაური პარპალით რაღაცას ემუდარებოდა.

სალამოს თოვა დაიწყო. ისე გემრიელად ბარდნიდა, რომ ოთარი ვეღარ ისვენებდა, ცას მოქუფრული შეჰყურებდა. მთელი ღამე თოვდა, რომ გათენდა, კიდევ თოვდა. თოვდა სამი დღე.

მშენებლობა შეჩერდა. თოვლს კიდევ არ შეუშინდებოდა ოთარი, თუნუქი მაინც რომ მოეტანათ. მანქანების მოძრაობა ისე გაჭირდა, რომ შოფრები გულგრილად იჩეჩავდნენ მხრებს, ასეთ თოვლში მარხილებით თუ წავალთ, თორემ ჩვენ ნაბიჯის გადამდგმელნი არა ვართო.

ადეიშვილს არასოდეს ტყუილი არ ეთქვა, ახლა კი გულხელდაკრეფილი იჯდა. მის წინააღმდეგ თითქოს ყველამ პირი შეკრა — ცამ, თოვლმა, შოფრებმა, მარხილებმა და საბურავებმა.

გადაუხურავ შენობაში ისე თოვდა, როგორც გარეთ. თოვლიანი, თბილი ზეცა სახლს ჭერივით დაფარებოდა. და აქედან, ამ სიმაღლიდან ცა ისე ახლოს ჩანდა, ხელი რომ გაგეწოდებინა მისწვდებოდი. ადეიშვილი შეჰყურებდა ამ თვალშეუდგამ ჭერს და სასაყვედუროდ დაძრული სიტყვები თოვლის ფანტელებივით ეფანტებოდა.

## „მამლუქი“

ნესტოებდაბერილი, კისერლონიერი და ფეხებწვრილი არაბული ულაყი ბექობზე იდგა და გასაფრენად კამარა ჰქონდა შეკრული. დოღში მხოლოდ ეროვნული ჯიშები მონაწილეობდნენ, ხოლო ყაბახი ცხენოსნობის მსოფლიო ჩემპიონატში ცალკე სახეობად იყო შეტანილი.

არაბული ულაყი ტაშის გრიალში ქენებით მიდის იპოდრომის შუაგულში აღმართული სვეტისაკენ. მხედარს სახე არ უჩანს, თეთრ წამოსასხამს შიაფრიალებს, თავი თხელი დოლბანდით წაუკრავს და საოცრად ჰგავს წიგნებში დახატულ ბედუინს.

მოახლოვდა, მოარგო ლარს ისარი, შვილდი მოზიდა, ყაბახს ცხენი გაუსწორა და უცებ ჩამოვარდნილ სიჩუმეში ცივად გასრიალდა ისარი.

ყაბახის თავზე დადგმული თასი ბზრიალით დაეშვა ძირს.

ხალხი ფეხისწვერებზე შემდგარა და ომახიანი ყიჟინით აცილებს მხედარს.

ის კი, უკვე ცხენიდან ჩამომხტარა, ალვირი მკლავზე დაუხვევია და ნელი რწევით მოუძღვის თავის რაშს.

თვალები მხიარულად უცინის, ალისფერი ტუჩებიდან მოუჩანს თეთრი, მაგარი კბილების რკალი.

— პატარა ინტერვიუ „ლელოსათვის“, — ვუახლოვდები აღტაცებული, — პირველად იღებთ მონაწილეობას შეჯიბრებაში?

— ჩემთვის პირველი არ არის ასეთი თასის ჩამოგდება, — მპასუხობს იგი, — ნილოსის ველის ფელახები დღეობებზე ვმართავთ ხოლმე ასეთ შეჯიბრს.

— როგორ? ეს ხომ ქართული თამაშია? თქვენ საიდან იცით?

— მე მოხუცი პაპა მყავს შინ, აბო მამლუქი. მას დიდმა პაპამ ასწავლა ეს თამაში...

— მამლუქი?! ქართველი ყოფილხართ...

— ყმაწვილო, აღარ იღვიძებ? — მეჯაჯგურება ვიღაც და ლამის საყელო ამაგლიჯოს.

თვალები გავახილე.

— მთელი ვაგონი ფეხზეა. რა დაგემართა? — მსაყვედურობს ჩვენი სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი.

ფანჯარაში ვიჭყიტები.

მატარებელი თბილისის ვაგზალში შემოდის.



## მოლოდინი

ქერათმიანი ქალიშვილი გავატარე და ტროლეიბუსის კიბეზე ასვლისას ხელიც შევაშველე. მან ცერად გადმომხედა, სახეზე დამაკვირდა, მაგრამ არაფერი მითხრა.

ტროლეიბუსი დაიძრა. ქალიშვილი დამშვიდებული იცქირებოდა ფანჯარაში და შეუმჩნევლად იღიმებოდა. ვუყურებდი და ვფიქრობდი: „სტუდენტი იქნება... კეკლუცობს. კოსმეტიკასთან მწყრალად არ უნდა ჩანდეს. ჩემი ვინაობა რომ იცოდეს, გამეცნობოდა. ვეტყოდი, რომ უნიკალურ ოპერაციაზე დასასწრებლად მივდივარ. ასეთი ლამაზი გოგოს შეყოლიება არ არის ძნელი...“

მაგრამ ქალიშვილი არც ჩემთან გამოლაპარაკებას აპირებდა და სიმართლე ითქვას, ჩემსკენ არც იყურებოდა. ცოტა არ იყოს მწყინდა, რადგან ქალებთან ყოველთვის წარმატება მქონდა, ალბათ, განებივრებულიც ვიყავი.

გაჩერებაზე ერთად ჩამოვედით, მერე ის ჩქარი ნაბიჯით წავიდა და მეც აღარ გამოვედევნებივარ. დღევანდელ ნომერში რეპორტაჟი უნდა დამეწერა, სათამაშოდ არ მეცალა, მივხვდი, თეთრი, მაღალი შენობა უნდა ყოფილიყო ახალი ქირურგიული საავადმყოფო და იქით გავეშურე.

საავადმყოფოში რომ მივედი, რამდენიმე ნაცნობი ჟურნალისტი დავინახე, ისინიც ჩემნაირი სტუმრები იყვნენ. რატომღაც მათთან შეხვედრა არ გამხარებია, პროფესიული ეგოიზმი მიბიძგებდა, რომ სენსაციური ოპერაციის ამბავი პირველს მე გამეტანა ქვეყნის სამსჯავროზე...

საოპერაციო ოთახში სტუმრებისათვის განკუთვნილი ადგილი დავიკავე და მიმოვიხედე. მოუთმენლად ველოდი როდის შემოვიდოდა საოპერაციო ოთახში მაღალი, ჭარმაგი მამაკაცი ასისტენტების ამალით გარშემორტყმული... რატომღაც ბავშვობიდანვე ქირურგი მხოლოდ ასე მყავდა წარმოდგენილი.

— მოვიდა, მოვიდა... — გამომარკვია ფიქრებიდან კოლეგების ჩურჩულმა.

გავიხედე. გავშრი. აღარ ვიცოდი რა მექნა.

ქერათმიანმა ქალიშვილმა კი მიცნო. გამიღიმა, მერე კი სერიოზული და დაფიქრებული საოპერაციო მაგიდისაკენ წავიდა.



მწყემსი ბიჭუნა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა-ფშაველა.

# ქორნელი სანაძე

ძველი თბილისი.



საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა კ. სანაძემ განვლილი ათეული წლების მანძილზე არაერთი ორიგინალური ნაწარმოებით გაამდიდრა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების საგანძური. კ. სანაძემ შექმნა უამრავი კომპოზიცია, პეიზაჟი, პორტრეტი, რომლებიც ავტორის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებენ.

მხატვრის ნაწარმოებების თემატიკაა — ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის ცხოვრება. მის ნაწარმოებებში ძალზე მკაფიოდ იგრძნობა რიტმი და პათოსი ქართველი ხალხის შრომისა და ბრძოლისა ახალი ქვეყნის ასაშენებლად. ამ მხრივ აღსანიშნავია სურათები: „სამგორის განთიადი", „პურის მკელი", „ჩაის მკრეფავი გოგონა", „თბილისელი მქსოველი" და ბევრი სხვა ფერწერული ტილო.

მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პეიზაჟს. კ. სანაძე თავის პეიზაჟებში აცოცხლებს საქართველოს ბუნების თვალწარმტაც სურათებს. მის პეიზაჟებში ჩქეფს ნამდვილი სიცოცხლე და პოეტურობა. კ. სანაძის ნამუშევრები მუდამ იქცევენ ყურადღებას როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო გამოფენაზე. მისმა ქმნილებებმა დიდი ხანია ჩვენი საზოგადოებრიობის მოწონება და სიყვარული დაიმსახურეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



- უშანგი ჩხეიძე.
- პეიზაჟი.
- აჭარელი პატარძალი.
- დედა.
- ავტოპორტრეტი.
- ხევსური.











ეროვნული ბიბლიოთეკა



მოხუცის პორტრეტი.



ქურთი გოგონა.



ბალეტის მსახიობი.

# ტყის ტრფიალი


ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ მურვანიშვილი

### გიორგი ნატროშვილი

მართალი გითხრათ, მიძნელდება ამ კაცზე — მიხეილ მურვანიშვილზე წერა, მიძნელდება იმიტომ, რომ ვშიშობ, ვაითუ ამ მცირე წერილში ვერა ვთქვა ყველაფერი, რაც მის დიდ ღვაწლს, დიდ საქმესა და სახელს შეჰფერის. პროფესიით ის მეტყევე-ინჟინერი იყო, ბრწყინვალე მცოდნე თავისი საქმისა; მის მიერ გადარჩენილი თუ ახლად გაშენებული ტყეები დღესაც ლაღად შრიალებენ სურამის მთებზე თუ ბორჯომის ხეობაში, ბევრ სხვა ადგილზეც. მაგრამ მურვანიშვილი მარტო მეტყევე კი არა, განხორციელებული სიკეთე და სათნოება იყო; მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებული მეოცე საუკუნის 50-იანი წლების მიწურულამდე, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მან ხალხზე ზრუნვაში გაატარა. ეს იყო საზოგადო მოღვაწე ამ სიტყვის ყველაზე მაღალი მნიშვნელობით.

მიხეილ მურვანიშვილი ყველაზე და ყველაფერზე ზრუნავდა, ყველაფერი გულთან მიჰქონდა, ყველგან, ყველა სფეროში დატოვა თავისი კეთილი კვალი; მთელი მისი ცხოვრება არის ღვაწლი, სამსახური, მსხვერპლად მიტანა თავისი თავისა, თავისი გულის, თავისი ძალღონისა. ის იყო განმანათლებელიც, სკოლებისა და პირველი სამკითხველოების გახსნის მოთავე, მეცნიერიც, პუბლიცისტიც; პირდაპირ გაოცებს მისი თავგამოდებული გარჯა მოძმისათვის, ყველასათვის, ვინც კი განსაცდელში ჩავარდნილა. მაგრამ მისი მთავარი საზრუნავი მაინც ტყე იყო.

მიხეილ მურვანიშვილი იყო შესანიშნავი ქართველი ინტელიგენტი, რომელმაც კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის, ხალხის აწმყოსა და მომავლისათვის ბუნების დაცვის საქმეს; და თუ ოდესმე დაიწერება ისტორია იმ ადამიანთა ცხოვრებისა, რომელთაც საქართველოს ტყეები არა მარტო დაიცვეს განადგურებისაგან, არამედ ახალშენთა ახალი ფართობები მიუმატეს მას, ამ ადამიანთა შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზე მოხსენებული იქნება მიხეილ მურვანიშვილის სახელი.

ეს იყო დიდი ქომაგი ჩვენი ტყეებისა, მათს დასაცავად, გასაშენებლად მურვანიშვილს არ დაუზოგავს არც ენერგია, არც ქონება, ეს იყო ნამდვილი გუშაგი ტყისა, და არა მარტო თვითონ აშენებდა ტყეს, სხვასაც ამ საქმისაკენ მოუწოდებდა, მეცნიერულ საფუძველზე აყენებდა ამ საქმეს, მთელი სიცოცხლის მანძილზე ტყე იყო მისი საფიქრალი, თავისი ხელით აშენებდა მას, მასზე წერდა ჟურნალ-გაზეთებში, წერდა მეცნიერულ წერილებსაც და მოთხრობებსაც, რომლებიც განუმარტავდნენ მკითხველთა ფართო მასებს, თუ რა განუზომელი მნიშვნელობა აქვს ტყეს ხალხისა და ქვეყნის აწმყოსა და მომავლისათვის.

მიხეილ ილიას ძე მურვანიშვილი დაიბადა 1875 წელს; 1893 წელს მან დაამთავრა ახალციხის სატყეო სასწავლებელი და იმავე წელს იგი დანიშნეს მარტყოფის (გარეკახეთი) სატყეოს უფროსის თანაშემწედ. თვრამეტი წლის ახალგაზრდა კაცი მთელი გატაცებით შეექიდა საყვარელ საქმეს. თავიდანვე ის მარტო ტყის დაცვაზე როდი ზრუნავდა. „ჩემი იდეალი, ჩემი ოცნება იყო დაბეჩავებული, უფლებააყრილი გლეხკაცობისათვის დახმარება. მისი მომავალი — ადამიანური ცხოვრების გზების ჩვენება-გაკაფვა“, — წერდა მიხეილი ავტობიოგრაფიაში. მარტყოფსა და საგარეჯოში ჩამოსვლისთანავე მიხეილმა მონახა სოფლის მასწავლებლებს შორის მოწინავე ადამიანები. დააარსა წრე, რომლის მიზანი იყო გამოეფხიზლებინა ხალხი, დაერაზმა საბრძოლველად, შეეტანა გლეხობაში სოციალისტური იდეები; ამ წრის ფარულ კრებებს ახალგაზრდა მეტყევე თავის ბინაზე აწყობდა. იმავე ხანებში მან დააარსა არალეგალური ხელნაწერი ჟურნალი „პირველი ნაბიჯი“, მისივე თაოსნობით მოეწყო სამკითხველო, მის ირგვლივ თავმოყრილი ახალგაზრდები მართავდნენ წარმოდგენებს, გლეხებს საჯაროდ უკითხავდნენ წიგნებს.

მიხეილ მურვანიშვილის მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა მარტო საგანმანათლებლო მოღვაწეობით. ახალგაზრდა მეტყევე აქტიურად ერეოდა სოფლის ცხოვრებაში, ის ხშირად შებმია და შებრძოლებია გათავხედებულ მოხელეებს, რომლებიც ხშირად აწიოკებდნენ გლეხებს. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მიხეილმა „ივერიის“ ფურცლებზე საჯაროდ გაილაშქრა რუსეთის იმპერიის მიწათმოქმედების მინისტრის ბრძანების წინააღმდეგ, დაასაბუთა, რომ მინისტრის ახლად გამოცემული ბრძანება, რომელიც ნებას რთავდა ყველას გაეჩეხათ სანადელო ტყეები, არის უაღრესად მავნე განკარგულება, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ბუნების გაპარტახებას.

მეფის მოხელეებმა ეს არ აპატიეს მურვანიშვილს; ჟანდარმერიის სამმართველოში უმალ თარგმნეს „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილი და მეფისნაცვლის კანცელარიას წარუდგინეს. ბობოლა მოხელენი გაცოფებულნი იყვნენ — როგორ ბედავს ეს ახალგაზრდა ყმაწვილი, ჩვენივე უწყების მოხელე მინისტრის განკარგულების უარყოფასა და დაგმობასო. ყოველივე ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ მურვანიშვილი საგარეჯოს მოაშორეს და ლორის სატყეოში (ბორჩალოს მაზრა) გადაიყვანეს.

ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ სცადა დაეცვა ახალგაზრდა მეტყევე მეფის მოხელეთა თავდასხმისაგან. 1897 წელს „ივერიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ფრიად საინტერესო წერილი, რომელიც ნათლად გვიხატავდა, თუ რა დიდ საქმეს აკეთებდა მურვანიშვილი ხალხის სასიკეთოდ და მისი მძიმე ხვედრის შესამსუბუქებლად.

ასეთი იყო მისი არა მარტო პირველი ნაბიჯები, არამედ მთელი ცხოვრება. ბორჩალოდან მურვანიშვილი მალე კახეთში გადაიყვანეს, ყვარლის სატყეოში. საცხოვრებლად მან ბინა დაიდო სოფელ ძველ გავაზში (ახლანდელი ახალსოფელი).

მიხეილმა აქაც გატაცებით მოჰკიდა ხელი ტყის დაცვის საქმეს. მაგრამ, როგორც სჩვეოდა, ამით არ დაკმაყოფილდა. მანამდე ამ სოფელში არ იყო სკოლა, ახალმა მეტყევემ ორი სასოფლო დაწყებითი სკოლა გახსნა, არ იყო სამკითხველო-ბიბლიოთეკა, ესეც მისი თაოსნობით გაიხსნა, ააშენა სპეციალური ქვიტკირის შენობა, სადაც მართავდნენ წარმოდგენებს.

ამის შემდეგ, 1903 წლიდან მურვანიშვილი აბასთუმნის სატყეოს უფროსის თანაშემწეა, ხოლო 1907 წლიდან ბაკურიანის სატყეოში გადაჰყავთ იმავე თანამდებობაზე. ცხოვრობს სოფელ თორში, უვლის და თავს ევლება ბორჯომის ხეობის ტყეებს, ამავე დროს, სოფ. თორს არა აქვს სასმელი წყალი, იწყებს წყალსადენის გაყვანას, არა აქვს სკოლა, ამზადებს მასალას სკოლის შენობის ასაგებად, სოფელს ცუდი მისასვლელი გზა აქვს, ესეც მისი თავსატეხი და საზრუნავია — გაჰყავს საურმე გზა თორიდან ბორჯომამდე თოთხმეტი კილომეტრის მანძილზე... მურვანიშვილმა აქაც ხალხის საყოველთაო სიყვარული მოიხვეჭა, და სოფლების — თორის, გომნას და სადგერის გლეხობამ თავისი მადლიერება ამ კეთილი კაცისადმი იმით გამოხატა, რომ ხსენებულ გზას „მურვანიშვილის გზა“ შეარქვა, მთელი ბორჯომის ხეობა ამ გზას დღესაც ამ სახელით იხსენიებს...

სულ მალე მურვანიშვილი წალვერში გადაჰყავთ სატყეოს უფროსად, და ისე მიდის თორიდან, წყალსადენის გაყვანისა და სკოლის შენობის აგების საქმე მოუმთავრებელი რჩება. მაგრამ კარგი საქმის საძირკველი უკვე ჩაყრილია და ეს როდია პატარა საქმე.

1910 წლიდან მურვანიშვილი, როგორც უკვე ვთქვით, წალვერის სატყეოს უფროსია. ამ უბანზე იგი შედარებით დიდხანს, რვა წელს დარჩა, და, ბუნებრივია, აქ მან ყველაზე მეტი გააკეთა. პირველ რიგში, ააშენა ქვიტკირის ორი შენობა — ერთი სკოლისათვის და ერთიც მასწავლებელთა ბინისათვის, მერე შემოიკრიბა იქაური ახალგაზრდობა, დაიწყო წარმოდგენების გამართვა და აქედან შემოსული თანხით ააგო სათეატრო შენობა, დააარსა კოოპერატივი, სამკითხველო, მოაწყო სპორტის მოედანი, სოფელს არა ჰქონდა სასმელი წყალი და გამოიყვანა წყალი სამი კილომეტრის მანძილიდან, აღმოაჩინა და მოაწყო მჟავე წყლის ახალი კერები, ააშენა ტყე-პარკი დამსვენებლებისათვის.

1918 წლიდან მიხეილ მურვანიშვილი სურამის სატყეოს აწყობს, მალე იგი კვლავ ბორჯომის ხეობაში გადაჰყავთ. მძიმე წლები იყო, მენშევიკების ბატონობის ხანა, ბორჯომის შესანიშნავ ტყეებს იმ წლებში შეესია აუარებელი მრეწველი, ვაჭარი თუ სპეკულიანტი, რომლებიც ტყის მტაცებლურ ექსპლოატაციას ეწეოდნენ და მთლიანად აპარტახებდნენ იქაურობას. რაოდენ ძლიერი ნებისყოფა და თავდადების გამოჩენა იყო საჭირო, გამოგედევნა ტყეებიდან ეს თავზე ხელაღებული, მოხვეჭის ჟინით შეპყრობილი მტაცებლები, გადაგერჩინა ბორჯომის ხეობის უძვირფასესი კორომები განადგურებისაგან! მიუხედავად ათასი დაბრკოლებისა,

უსიამოვნების, დავისა და ჩხუბისა, მურვანიშვილმა, თუ მთლიანად არა, სანახევროდ მაინც შესძლო გადაერჩინა ხალხის ეს უძვირფასესი საგანძური. ეს ერთი კაცი ფხიზელ გუშაგად ედგა ბორჯომის ხეობას, იცავდა დიდ სახალხო საუნჯეს.

და აი, საქართველოშიც აფრიალდა ლენინის დროშა. დამყარდა საბჭოების ხელისუფლება. სახელოვანი მეტყევე კვლავ დაუცხრომელი ენერგიით შეუდგა ზრუნვას საქართველოს ბუნების დასაცავად. 1921—1922 წლებში ის განაგებს მთელი ბორჯომის ხეობის ტყეებს, შემდეგ მცირე ხნით თბილისში გადმოჰყავთ, 1924 წლიდან კვლავ ბორჯომის ხეობას უბრუნდება, აქ ის 1924 წლის გაზაფხულზე, პირველად საქართველოში აარსებს თესლის საშრობ ქარხანას, ამზადებს წიწვოვანთა ჯიშების თესლს, რომელიც იგზავნება მოსკოვის, ლენინგრადის, კურსკის, ვორონეჟის ოლქების ტყეებში, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში; ეს თესლი ტონობით მიდის საზღვარგარეთაც, როცა ჩვენი ქვეყანა იწყებს საგარეო ვაჭრობას უცხოეთის ქვეყნებთან.

მომდევნო წლებში მურვანიშვილი აწყობს სანერგეებს ბორჯომში, ბაკურიანში, წაღვერში, აბასთუმანში, წყალტუბოში, ბახმაროზე, აარსებს ბორჯომის სატყეო მუზეუმს, რომელიც შემდეგში სამხარეთმცოდნეო მუზეუმად გადაკეთდა.

მთელი ამ წლების მანძილზე საქართველოს ტყეებს ემატება ახალ-ახალი ფართობები, მანამდე გაპარტახებულ ასობით ჰექტრებზე შრიალს იწყებენ ლაღად ტანაყრილი ფოთლოვანი და წიწვოვანი ჯიშის ხეები...

1934 წლის დეკემბრიდან მიხ. მურვანიშვილი სურამის სატყეო მეურნეობის დირექტორია — აქაც ჯერ სანერგეს აწყობს, აშენებს ახალ ტყეებს სურამის გარშემო და ნუნის ზვარეში 131 ჰექტარზე.

მიხეილ მურვანიშვილი გარდაიცვალა 1959 წელს. იგი დაკრძალულია თავისსავე გაშენებულ ტყეში, სურამის თავზე, ბაიანთ ხევში და უკვე ტანაყრილი ფიჭვები და ნაძვები, როგორც მარადიულ საპატიო ყარაულში, დგანან მისი საფლავის ირგვლივ...

ბევრ რამეს ასწავლის ახალ თაობებს მიხ. მურვანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა. ახლა, როცა პარტია და მთავრობა ესოდენ დიდ მზრუნველობას იჩენენ ტყის მოვლა-გაშენების საქმისადმი, მიხ. მურვანიშვილის სახელი იქნება შთამაგონებელი იმ ენთუზიასტთა ახალი თაობებისათვის, რომლებიც მოწოდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ტყეს, მთელ ბუნებას — ხალხის ამ უძვირფასეს საუნჯეს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო კომიტეტი შესანიშნავ საქმეს აკეთებს იმით, რომ აწესებს მიხეილ მურვანიშვილის სახელობის პრემიას, რომელიც მიენიჭება ყველაზე საუკეთესო სატყეო მეურნეობას და მეტყევეს, რომელმაც ყველაზე მეტი ღვაწლი და ამაგი დასდო ბუნების დაცვის საქმეს. ეს იქნება ჯერ ერთი, უკვდავყოფა ამ შესანიშნავი ადამიანის — მიხეილ მურვანიშვილის სახელის და მეორეც — ეს ღონისძიება დიდად წაახალისებს იმ ადამიანებს, ვისაც აბარია ჩვენი ტყეები — ეს ჩვენი ფასდაუდებელი საუნჯე.



ივანე ბუნინი

# კავკასია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

მოსკოვს ჩავედი, არბატზე, ერთ-ერთ უჩინარ მოსახვევში დავბინავდი. და ფეხი არ მომიცვლია — გულგაწყალებული ვიყავი, სანამ იგი მოვიდოდა. ჩემი მემართებოდა ხოლმე. იმ დღეებში ჩემთან სამად სამჯერ იყო და ყოველ მოსვლაზე სულმოუთქმელად მეცემოდა:

— მე სულ ერთი წუთით შემოვირბინე...

მისი სიფერმკრთალე შეყვარებული, აღტყინებული ქალის მშვენიერი სიფერმკრთალე იყო, ხმა უთრთოდა, არც ახსოვდა, ქოლგას სად აგდებდა, პირბადეს ერთი ვიშვიშით იშორებდა და გულში მიკრავდა, არ ვიცოდი სიბრალულისა და აღტაცებისგან რომელ ცას ვწეოდი.

— ტანი მიგრძნობს, — მეუბნებოდა იგი, — ქმარმა რაღაც დაგეშა, მგონი რაღაც იცის კიდეც... ვაიმე, იქნებ, თქვენი რომელიმე წერილი წაიკითხა, იქნებ, ჩემი უჯრებიც დახსნა... ისეთი მკაცრი და თავმოყვარე კაცია, ყველაფერზე წავა, დარწმუნებული ვარ. ერთხელ ასევე მითხრა: „ყველაფერს ფეხებზე დავიკიდებ, ოღონდ ქმრისა და ოფიცრის ღირსებას კი დავიცავო!“ ახლა იგი; რატომღაც, ყოველ ჩემს ნაბიჯს უთვალთვალებს და თუ ჩვენი განზრახვის მიღწევა გვინდა, ასი თვალი და ასი ყური უნდა გამოვიბა. სამხრეთში კი მიშვებს. ეგრე ჩავაგონე, მოვკვდები, თუ ზღვა არ ვნახე-მეთქი, მაგრამ, ღვთის გულისთვის, ცოტა მოთმინებაც იქონიეთ!

კადნიერი გეგმა გვქონდა: ერთი და იმავე მატარებლით უნდა გვემგზავრა კავკასიისკენ და იქ, მთლად მიყრუებულ ალაგას სამიოდ-ოთხიოდე კვირა უნდა გაგვეტარებინა. ამ ზღვისპირა მიდამოებს ვიცნობდი, ერთ დროს სოჭის ახლომახლო მიცხოვრია კიდეც, — მაშინ ჭაბუკი და მარტოხელა ვიყავი, — სამარადჟამოდ ჩამრჩა იმ შავი კვიპაროსებისა და სიცივეშემდგარი რუხი ტალღების წიაღ გარდასული გაზაფხულის საღამოები... და მას ფერფური მისდიოდა, როცა მე ვეუბნებოდი: „აი, ამას იქით მე შენთან ვიქნები, მთის ჯუნგლებშიც და ტროპიკული ზღვის პირადაც...“ ჩვენი განზრახვის აღსრულების იმედი სულ ბოლო წუთამდე არ გვქონია — იმდენად ზღვარგადასულად ბედნიერ ხალხად მიგვაჩნდა თავი.

მოსკოვში წვიმები გადაება, ეგრე ჩანდა, ზაფხულმა რომ ზურგი ერთხელ შეიბრუნა, აქეთ მოხედვას არ აპირებდა, ტალახი დადგა, არე მოიღუშა, ქუჩებში გამვლელ-გამომვლელთა სველი და შავი ქოლგები გაბზინდნენ, მაღლა აწეული, სირბილ-სირბილ მოფანფალე ორადგილიანი ღია ეტლების სახურავებსღა ჰკიდებდით თვალს. ჩაბნელებული, საძაგელი საღამოსპირი იდგა, სადგურის გზას რომ დავადექი. სიცივისა და მღელვარებისგან კინაღამ გული გამიჩერდა. მოედანი და ბაქანი შლაპაჩამოფხატულმა და პალტოს საყელოში თავჩარგულმა ძუნძულ-ძუნძულით მოვირბინე.

შევედი პირველი კლასის მომცრო კუპეში, რომელიც წინასწარვე შევუკვეთე, ფანჯარაში წვიმა უთხლაშუნებდა. მაშინვე ფარდა ჩამოვუშვი, თავისი მივეცი მუშას, რომელიც გაზუნზლულ ხელს თეთრ წინსაფარზე იწმენდდა, იგი წავიდა და მე კარი ჩავრაზე, შემდეგ ფარდა ოდნავ გამოვწიე, გავინაბე და ვაგონის გასწვრივ, სადგურის ფარნების მბჟუტავ შუქზე წინ და უკან მობორიალე ჭრელ ბრბოს თვალს არ ვაცილებდი. დათქმული გვქონდა, რომ მე სადგურზე რაც შეიძლება ადრე მოვსულიყავი, იგი კი რაც შეიძლება გვიან უნდა მოსულიყო, რომ ბაქანზე, უნებლიედ, მათ, ორთავეს ერთად არ შევჩეხებოდი. აი, საცაა უნდა გამოჩენილიყვნენ. სულ უფრო და უფრო დაძაბული ვიყურებოდი, — არა და არ ჩანდნენ. მეორე ზარმაც ჩამორეკა — შიშისგან სისხლი გამეყინა: ვაითუ, მატარებელს ვერ მოუსწრო ან უკანასკნელ წუთს ქმარმა სულაც არ გამოუშვა-მეთქი! იმავ წუთს გამაოგნა აღნაგმა მამაკაცმა, მას ოფიცრის ქუდი ეხურა, ტანზე შემოწკეპილი შინელი ეცვა, ხელთათმანი ეკეთა, მეუღლე ხელმკლავით მოჰყავდა და ლაღად მოაბიჯებდა. ფანჯარას მოვწყდი და დივანის კუთხეში მივესვენე. გვერდით იყო მეორე კლასის ვაგონი — მე გონების თვალით ვხედავდი, როგორ უფლებამოსილად შეიყვანა ოფიცერმა მეუღლე კუპეში, მიიხედ-მოიხედა, — მებარგულმა რიგიანად თუ მიაწყო ყველაფერიო, — ხელთათმანი გაიძრო, ქუდიც მოიხადა, ჰკოცნიდა მას და თან პირჯვარსაც სწერდა... მესამე ზარმა სულ შემშალა, მატარებელი რომ დაიძრა, გაშეშებული ვიყავი... ხვანხვალებდა, ჯაყჯაყებდა, შემდეგ თანაბრად გაუყვა და სრული სიჩქარით წავიდა... კონდუქტორს, რომელმაც ქალი ჩემთან გადმოიყვანა და ბარგიც გადმოატანინა, ყინულივით ცივი ხელით ათმანეთიანი მივაჩეჩე.

ისე შემოვიდა, რომ არც კი უკოცნია ჩემთვის, მხოლოდ საწყალობლად გაიღიმა, შლაპას იხდიდა და თმას ხელით იშორებდა.

— ლუკმა არ გადამსვლია ყელში, — თქვა მან, — ამ საშინელ როლს ბოლომდე ვერ გავუძლებ-მეთქი, ვფიქრობდი. ხახა გამიშრა. ნარზანი დამისხი, — მან შენობით პირველად მომმართა, — დარწმუნებული ვარ, რომ ქმარი ჩამომაკითხავს, ორი მისამართი მივეცი, გელენჯიკისა და გაგრისა. ჰოდა, სამ-ოთხ დღეში იგი გელენჯიკში იქნება... რა გაეწყობა, ამგვარ ყოფნას სიკვდილი სჯობია...

დილას, დერეფანში რომ გავედი, მზე აცხუნებდა, დახუთული იყო. საპნის, ოდეკოლონისა და ბევრი სხვა რამის ნაზავი სურნელი იდგა, აი, ხალხით საფსე ვაგონში დილას რომ იცის, ისეთი. მტვრისგან დაბინდული და გახურებული ფანჯრების მიღმა გადახრუკული, ხელისგულივით გაშლილი ტრამალი გარბოდა, დამტვერილ, განიერ გზებზე კამეჩებშებმული ურმები მიიზლაზნებოდ-

ნენ, ელავდნენ ყვითლად დაჭყეტილი მზესუმზირის ბაღები, ალისფერი ბალბების ბაღჩები და მათში ჩაფლული მეისრის ჯიხურები... წინ იდო ყორღანებიანი და სამარხებიანი დედიმობილა სივრცე, მზე აუტანლად აცხუნებდა, ცა მტვრის ღრუბლებით მოფენილს ჰგავდა, მალე ჰორიზონტზე პირველი მთების ლანდებიც გამოკრთა...

გელენჯიკიდან და გაგრიდან მან ქმარს შეუთვალა, ჯერაც არ ვიცი სად გავჩერდებით.

შემდეგ ჩვენ სანაპიროს სამხრეთისკენ დავუყევით.

მხატვარი დიმიტრი ერისთავი



ერთ მყუდროზე მყუდრო აღვილს მივაკვლიეთ, იქაურობა ჭადრებით აყვავებული ბუჩქნარით, მაგნოლიებით, წიწვნარითა და ბროწეულებით იყო დაფარული.. ამათ წიალში, ალაგ-ალაგ მარაო პალმები და ტანშავი კვიპაროსები აწვერილიყვნენ.

მე ადრე ვიღვიძებდი და, სანამ მას დილის ძილით ეძინა, ჩაის მირთმევამდე, — რვა საათამდე, — გორაკს შევადგებოდი და თავს უსიერ ტყეს ვაძლევდი. თავანკარა, სიხარულისმომგვრელი მზე უკვე თაკარა და ძალუმი იყო. ტყეში ლაჟვარდოვანი ნათელი ეფინა. ამოსურნელი ნისლი დაცურავდა და დნებოდა, შორს კი, ცასშიბჯენილი ტყიანი მწვერვალების თავზე, თოვლიანი ?ოების მარადქალწულებრივი სისპეტაკე ციალებდა... ?ცან ჩვენი სოფლის ბაზრით ვბრუნდებოდი ხოლმე, ცხელოდა და ჰაერშიც დამწვარი წივის სუნი იდგა. ბაზარში ვაჭრობა დუღდა და გადმოდუღდა. ხალხი, ცხენები და ვირები ერთმანეთში ირეოდა, — დილ-დილაობით ამ ბაზარს ათასი ჯურის აურაცხელი მთიელი აშურებდა, — კაცისთვის გვერდის ავლა ჭირდა: დანარნარებდნენ კრძელი, მიწამდე დაშვებული შავკაბიანი, წითელწუღებიანი, რაღაც შავით თავდაბურული ჩერქეზთა ასულები და ამ გლოვისფერი სამოსელიდან წამდაწამ ფრინველის გამოხედვასავით მკვირცხლი მზერა კრთებოდა.

შემდეგ ჩვენ ნაპირზე ჩავდიოდით, — იგი სულ მუდამ უკაცრიელი იყო, — ვბანაობდით და საუზმემდე მზეს ვუწექით. საუზმედ ნაკვერჩხალზე შემწვარ თევზს, თეთრ ღვინოს, ნიგოზსა და ხილეულს გეახლებოდით, შემდეგ კი ჩვენს კრამიტიან ქოხში გაგანია სიცხისგან დაბუდებულ ბინდს გვერდითა დარაბებიდან მხურვალე, გიჟმაჟი ათინათები ასხივოსნებდა.

ო, რარიგად საოცრად ბრწყინავდნენ მისი სპეტაკი, ალმასებრ მიმოცვენილი წვეთები იმ იდუმალ ჟამს, როცა გვიანი მთვარე რაღაც ღვთაებრივი სულიერივით იმზირებოდა მთებისა და ტყეების ძირიდან!

ზოგჯერ ღამ-ღამობით მთებიდან ავი ღრუბლები დაიძვროდა, საშინელი ქარიშხალი ამოვარდებოდა, აგუგუნებულ, სამარისებურად ყიამეთ ტყეში ხან აქ, ხანაც იქ განიხვნებოდა თვალგაუწვდენელი სიმწვანე და წარღვნამდე დაქუხებული მეხი გამაყრუებლად იჭექებდა. მაშინ ტყეებში იღვიძებდნენ არწივის მართვენი და ჟიპჟიპებდნენ, ჯიქები ღრიალებდნენ, ტურები კიოდნენ... ერთხელ ჩვენს განათებულ ფანჯარასთან უამრავი ტურა მოხროვდა, — ასეთ ღამეში ისინი ყოველთვის კაცთასამყოფელისკენ ისწრაფვიან, — ჩვენ ფანჯრები მოვაღიაღეთ და მათ ზევიდან დავჩერებოდით, ისინგ კი იდგნენ შუქით გაბრწყინებულ ღვართქაფში, წკავწკავებდნენ და თავშესაფარს შეგვთხოვდნენ... მათი შემხედვარე ქალი სიხარულის ცრემლებით ტიროდა.

ქმარმა იგი გელენჯიკშიც ეძება, გაგრაშიც, სოჭშიც. სოჭში მოსვლის მეორე დღეს დილით, მან ზღვაში იბანავა, შემდეგ გაიპარსა, ახალთახალი პერანგი და ქათქათა კიტელი ჩაიცვა, თავისი სასტუმროს რესტორნის აივანზე ისაუზმა, ბოთლი შამპანური და შარტრეზიანი ყავა დალია, გულმშვიდად დააყოლა სიგარაც. ნომერში რომ მიბრუნდა, დივანზე დაწვა და საფეთქელში რევოლვერი ორჯერ ისროლა.

თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ.

# ეს წერილი საუკუნის წინათ დაიბეჭდა

,,გ უ თ ნ ი ს-დ ე დ ა"

1875 წ. სექტემბერი

**სამეურნეო გაზეთი**

თუ რამე საშუალება არ იქნა მონახული საქონლის კარგად გამოსაკვებად, ისე შეუძლებელია ადგილ-მამულის მოვლის წარმატება. საქონელს უნდა მოეხნა, საქონლით უნდა დამუშავებულიყო და აგრეთვე საქონლის პატივი იყო საგანგებო სასუქი მიწებისათვის, ამის გულისთვის დაუწყეს თესვა სხვადასხვა ბალახს, რადგან მარტო თივა არას უშვებოდა და გარდა ამისა თივას ბევრი ადგილი უნდოდა მოსაყვანად. ყველა ნაცად ბალახებში, რომელიც კი მოჰყავდათ თესლზე, უფრო ივარგა იონჯამ და ალავერდამ, ამ ბალახების თესვამ დიდი შემწეობა მისცა ადგილ-მამულის წარმატებას. ეს ბალახი ინახავდა დიდძალ საქონელს, აქედან ბევრი საქონელი ეხმარებოდა მუშაობის გარდა პატივითაც, რაკი საქონელს ნოყიერი საჭმელი უხვად ჰქონდა ის პატივსაც ბლომად და ნოყიერს იძლეოდა. ამ პატივით ანოყივრებდნენ მიწასა და მიწაც ერთი ორად მეტ მოსავალს იძლეოდა. თუ რაოდენ წარმატება მისცა იმ კაცთა მეურნეობას, რომელნიც მისდევდნენ საკვები ბალახების თესვას, ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ მაგალითს: რუსეთის ერთმა გამოცდილმა მემამულემ, გვარად სამარინმა თითქმის ძალად დააწყებინა ერთ პატარა სოფელს ბალახის თესვა, სადაც იდგა თექვსმეტი კომლი მოსახლე. ეს სოფელი საქონლის საკვების უქონლობის გამო ათიოდე ძროხისა და რვა ცხენის მეტს ვერ ინახავდენ სოფელში, როგორც სხვა მომეტებულს ნაწილს რუსეთის ქვეყნისა ხნავდნენ ცხენებით. რაკი ამგვარი სიღარიბე იყო, სოფლის მცხოვრებნი თითქმის ყველა ლუკმა პურის საშოვნელად დადიოდა სხვადასხვა სოფელში და ქალაქში. გლეხები სამარინს ჯერ არ უჯერებდნენ, მაგრამ რაკი საქმე სხვანაირად აღარ გამოდიოდა, დაუჯერეს იმის რჩევასა და დაუწყეს თესვა საქონლის საკვებ ბალახებს. სამი წლის შემდეგ ისე მოაღონიერა გლეხები და წამოაყენა ფეხზედ რომ თითო კომლს არამც თუ ყველას თავისთვის ჰყავდა საკუთარი ცხენები და ძროხები, არამედ ყველამ ცხვარიც კი გაიჩინა საკმაო. საქონლის მომატებით იმდენ სასუქს იღებდნენ, რომ ძლივს ასწრებდნენ მინდვრად მის გატანას. რაკი ამგვარი მაგალითი ნახეს მეზობელმა სოფლებმა, იმათაც იყიდეს ამ სოფლელებისაგან საკვები ბალახები. ისწავლეს ამათგან მოყვანა და მოვლა ბალახებისა და თითონაც დაიწყეს ბალახების მოყვანა.

ეს მაგალითი ამტკიცებს, რამდენი შემწეობა შეუძლიან საკვები ბალახების მოყვანას.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ზოგჯერ რაც ერთს ადგილას ბალახი იხეირებს, ის მეორე ადგილას, არ ივარგებს, რაც ბალახი ერთ ჰაერსა და მიწას იმშვენებს, ის მეორეს ვერ აიტანს. ამის გამო ყველა მეპატრონემ უნდა ადევნოს ყური რა ადგილს, რა მიწას, რა ჰაერს, რა ბალახი უფრო იხეირებს და პატრონს წარმატებას რა უფრო მისცემს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა მშვიდობისა!

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საჰაერო ტრასების სიგრძე დღეს 80 ათას კილომეტრს აღემატება. თბილისს, სოხუმს, ქუთაისსა და ბათუმს პირდაპირი კავშირი აქვთ მოსკოვთან, მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებთან, აგრეთვე დიდ სამრეწველო ცენტრებთან და ქვეყნის დასახლებულ პუნქტებთან.

მეცხრე ხუთწლედის ოთხ წელიწადში თბილისის აეროპორტის მიერ გადაყვანილია 7 მილიონზე მეტი მგზავრი, გადატანილია 50 ათასი ტონა ტვირთი და ფოსტა. სახალხო მეურნეობის საჭიროებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის გაიხსნა ბევრი ახალი ავიატრასა.

აი, საჰაერო ლაინერი მზად არის გასაფრენად. აგუგუნდა ძრავები, თვითმფრინავი შეინძრა, სიჩქარე აიღო და ზეცისაკენ გაეშურა. საჭეს უზის „ტუ-104" ხომალდის მეთაური, პირველი კლასის პილოტი ვლადიმერ კუცია. მეორე პილოტია ჟიული რატიანი, შტურმანი იური ნედოსპალოვი, ბორტმექანიკოსი ლევ ბაბლოიანი. ამ ერთსულოვანმა ეკიპაჟმა იფრინა ათობით შორეულ

# თბილისის



პირველი კლასის პილოტი ვ. კუცია (ცენტრში), მეორე პილოტი ჟ. რატიანი და შტურმანი ი. ნედოსპალოვი.

რეისში — ლენინგრადში, ტაშკენტში, სვერდლოვსკში, მოსკოვში. თითოეული რეისი ძალ-ღონის დიდ დაძაბვას, ოსტატობას მოითხოვს...

თბილისის აეროპორტში არის განსაკუთრებული სამსახური — საჰაერო მიმოსვლის სამმართველო, მოძრაობის სამსახური, რომლის ძირითადი „ხრახნია“ მოძრაობის უსაფრთხოება. ეს არის აეროპორტის სასტარტო-სადისპეტჩერო პუნქტი, რომლის მინის ოთახიდან ჩინებულად მოჩანს მთელი აეროპორტი: ახაფრენ-დასაჯდომი მოედნები, სასაწყობო შენობები. აქ სრული ბატონ-პატრონია დისპეტჩერი: მისი მეშვეობით ყოველდღე, ყოველ წუთს, ყინვასა და ქარში ჯდება და ფრინდება ასზე მეტი თვითმფრინავი.

ბევრი რამ კეთდება მგზავრთა მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის არა მარტო ფრენის დროს, არამედ მიწაზეც. მნიშვნელოვნად გაფართოვდა საბილეთო სალაროების ქსელი. საბილეთო სალაროები გახსნილია რესპუბლიკის 80 რაიონსა და 12 ქალაქში, შექმნილია საინფორმაციო-საცნობარო ბიურო, რომელიც დღედაღამ მუშაობს.

ვიქტორ ჯეირანელის
ფოტო


ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთის გადატანის ცვლის უფროსი კარლო ზურიკაშვილი.



„ტუ-104“-ის ეკიპაჟი.

# საჰაერო ჭიშკარი



სადისპეტჩერო პუნქტი.




თვითმფრინავი დაეშვა.

# ლექსები

კოლაუ ნადირაძე

## იეთიმ გურჯის სიმღერა

იყო დრო და ხარობდა
ია-ვარდი ბაღში.
სადღაც შაშვი გალობდა,
ვარდი გაშლას ჩქარობდა —
გულ-მკერდს შლიდა ნამში.
იყო დრო და მესმოდა
ტყის შრიალი ქარში,
იყო დიდი ეზო და
დედის სითბო სახლში!
იყო დრო და პერანგი
მეცვა დედის ნაქარგი,
რარიგ ნაზი, რა კარგი,
თითქოს მთვარის ნაქარგი!
მაგრამ, ჩანს, ვერ ვივარგე:
აღარ მახსოვს,
როდის,
სად,
ეს პერანგი დავკარგე!
დავკარგე და უტოლოდ,
დავრჩი მარტოდ, უცოლოდ!
ვიარები იავარ,
უპერანგოდ,
სადა ვარ?!
ზოგჯერ ვარკვევ გზას და კვალს,
ზოგჯერ ვერ ვგრძნობ სადა ვარ,
ვერც მე მცნობენ ვინა ვარ!

ქვეყნად არვის ვუჩივი,
არვის ვეტყვი სამდურავს!
ზოგჯერ სიცხე ივლისის,
ზოგჯერ სუსხი გამწყურავს...
ვერ ვპოულობ იმ პერანგს,
დავეძებ, ვერ ვპოულობ;
იგი, ალბათ, შორეთში,
ვარსკვლავებთან დაცურავს.
დავრჩი მონა სიმღერის,
მიყვარს ლექსის თილისმა,
ეს მიბოძა,
მაჩუქა
ჩემმა ქალაქ თბილისმა!
თუ სიკვდილი მესტუმრა —.
სადმე თავს შევაფარებ!
ერთ ფიქრი — იმედი
ჩემს გულს მაინც ახარებს:
ნაცვლად დედის პერანგის,
ჩემი ქალაქ თბილისი,
ჩემს სამარეს დაკარგულს,
თავის პერანგს იისფერს,
მზით და მთვარით დაქარგულს —
თავის ზეცას იისფერს
მაინც გადამაფარებს!
იყო დრო და მესმოდა
ტყის შრიალი ქარში,
იყო დიდი ეზო და
დედის სითბო სახლში!.

რასულ გამზათოვი

## თუ ქვეყანაზე ათასი კ ა ც ი...

თუ ქვეყანაზე ათასი ვაჟი
მაშვალს გიგზავნის, პირველ ყოვლისა
უნდა იცოდე, იმ ათას კაცში,
რომ არის რასულ გამზათოვიცა.

თუ მოუხიბლავს შენს სილამაზეს
ასი ვაჟკაცი წრესგადასული,
მათში მეცა ვარ, ჩემს სიმამაცეს
გაწონებ მთიდან ვინმე რასული.

თუ ათი კაცი, ყმა ღირსეული,
შორი მიჯნურის მსგავსად გულია,
ლხინს აყოლილი, დარდს მიცემული,
იმ ათშიც რასულ გამზათოვია.

თუ მარტოოდენ ერთია მხოლოდ,
შენმა ტრფიალმა რომ გაახელა,
ის არის, მთაზე ღრუბელთან ცხოვრობს,
ვისაც რასული ჰქვია სახელად.

თუ აღარავის უუყვარხარ, მაშინ
რით განუგეშო, რით შეგამზადო, —
ეს იმას ნიშნავს, უდაბურ მთაში
მიწა აყრია რასულ გამზათოვს.

* * *

პირველად თითქოს გაჩნდნენ გველები,
ასე ფიქრობენ ინდოელები.
მთიელი კაცი სხვაგვარად ფიქრობს,
არწივიაო პირველი თითქოს.

მე კი მგონია, პირველად, დღემდე,
ადამიანი იშვა და შემდეგ
ბევრი მათგანი იქცა არწივად,
ბევრმა გველობა გაინაწილა.

თარგმნა ჯემალ ინჯიამ.

ილია აროსია

## ერთი ამბავი

გული თუ გონებას მიჰყვა,
ამგვარი ამბავი მიყვარს.
მაღალი ოცნება არ მღლის,
უაზრო ცხოვრებაც არ ღირს.
გული თუ გონებას მიჰყავს,
ყველა და ყოველი მიყვარს.
თავს იჩენს საჩენი ზრახვა,
რომელსაც დიდება ახლავს.
გული რომ გონებას მიჰყვა,
ამგვარი ამბავი მიყვარს.

## შენ სიმდიდრე ხარ ჩემი

როგორიც იყავ დღემდე,
ისევ იმგვარი რჩები, —
არ მშორდებოდე, მდევდე,
შენ არსება ხარ ჩემი!
მთვარიანში თუ მზეში,
ვითარც აჩრდილი, ვრჩები,
ნათელ ხსოვნიდან ვერ გშლი,
შენ ბუნება ხარ ჩემი!
მოგონებაა მძიმე,
მისთვის დამცვივდა ცრემლიც,
იმედს უმატებ იმედს,
შენ თვისება ხარ ჩემი!
ხან უღვინოდაც ვთვრები,
არც ოდეს დავეცემი,
რა უცნაურად ვთბები,
შენ სიმდიდრე ხარ ჩემი!

ალექსანდრე ტაბატაძე

## ყველას, ყველაფერს...

პირველ ენძელას, ამოსულს ველად,
ბავშვივით შემკრთალს პირველ ქუხილზე,
მაისის დილას, გამთბარს უხვი მზით —
ჩემი სალამი ყველაფერს, ყველას!
პირველთოვლობას და პირველ წვიმებს
და ჩვილის პირველ უცოდველ ღიმილს,
დამშრალ სურვილებს, დაშრეტილ იმედს,
რომელიც მაინც ბჟუტავს და ღვივის.
ვისაც უყვარს და ვერაფრით უთქვამს,
უფლება არ აქვს და მაინც უყვარს,
ყვავილზე დამკვდარ ზუზუნა ფუტკარს
და დედულეთის ჭვარტლიან ბუხარს,
კაცისთვის ნასროლ აცდენილ ტყვიას,
ჩიტისთვის ნასროლ აცდენილ შურდულს
და პირველ კოცნას მწველსა და ქურდულს, —
ყველაფერს, რასაც ლამაზი ჰქვია,
რასაც სითბო და სიწმინდე შვენის —
თაყვანი ჩემი!

## ტ რ ი ა ლ ე თ ი

თითქოს
ცეცხლი
უკიდია
მზით ალანძულ თრიალეთს,
თითქოს
ველი
ტრილობიდან
სისხლი ისევ თქრიალებს.
წითელი ცა,
როგორც
დროშა
გაშლილა და შრიალებს
და სიზმრებში
ჩაუყვინთავს
ბრძოლით დაღლილ თრიალეთს.

## აღმოსავლეთით...

(სურათი)

მატარებელი მიირწევა აღმოსავლეთით,
ციმბირის ველი გადაპენტილ-გადაბამბულა...
და ჩურჩხელები თათარაში ამოსავლებად
არყის ტოტებზე გაუკიდავს თოვლის ბაბუას.
სადღაც გარბიან აჩრდილები უსახურები,
უკებ თენდება დღე პატარძლის სადარებელი
და ვერძებივით ერთურთს შუბლებს უჯახუნებენ
ყვითელი მზე და გათოშილი მატარებელი...
მატარებელი მიირწევა აღმოსავლეთით...

## პ ო ზ ი ც ი ა

ისე არაფერი მყვარებია,
ტყეში კაკბები რომ კრიახობენ,
ისე არაფერი მძულებია,
როგორც რეგვენებთან სიახლოვე.
ისე არასოდეს მიცინია,
როცა დამაბრალეს გულცივობა,
ისე არასოდეს მიტირია,
როცა ბედი ავ კაცს უცინოდა.
ისე არაფერი მენანება,
როგორც ეზო ჯაგით გაღობილი,
ისე არავინ არ მებრალება,
როგორც მაძღარი და კმაყოფილი.
ისე არაფრისა მეშინია,
როგორც ცოცხლად სულის დალევისა,
ისე არავისი არა მჯერა,
როგორც დედის თბილი თვალებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## ნანა როსტომაშვილი

### დ ღ ე ე ბ ი

ჰგვანან დღეები მინდვრის ყვავილებს,
ფერადდებიან... იქარგებიან,
ჰგვანან დღეები დაღლილ ყვავილებს,
უმალ კვდებიან... იკარგებიან.
გულს არაფერი არ ახალისებს,
ბედნიერება წვეთი თაფლია,
გრძნობებიც ჰგვანან ფერად ყვავილებს,
მარადისობის შუქი სწადიათ.
დღეები, ჩვენი თეთრი დღეები
შეუჩერებელ ეტლით დადიან.
და ჰგავს სამყაროც ფერად ყვავილებს...

### საგაზაფხულო

და იები გაზაფხულის პირზე
ისე ჰგავდნენ მივიწყებულ ფერებს,
ინატრებდი მხურვალებას მზისას,
უკვდავებას ინატრებდი მერე.
გამთენიის სურნელება ჰქონდათ
ხეებს ხევში ჩაკიდებულთ ოხვრით
და აევსო ჭრიჭინების მოთქმას
ივრის პირას მომლოდინე ქოხი.
ცაზე, როგორც მოქანავე ხიდი,
იწვა ნისლი თოვასავით თეთრი,
ლილისფერი ეშვებოდა ციდან,
ეშვებოდა ციდან ლილისფერი.
იდგა ჩუმი აალება მზისა,
განთიადი ფითრდებოდა მერე
და იები გაზაფხულის პირზე
ისევ ჰგავდნენ მივიწყებულ ფერებს.

## ნუნუ შალვაშვილი

* * *

სითბო რომ ვიყო,
დამზრალ მუხას გულს გავულღვობდი,
ნიავი ვიყო,
მტირალ თვალებს ცრემლს შევუშრობდი,
წყალი რომ ვიყო,
სიზოროტეს ცეცხლს ჩავუქრობდი,
სინორჩე ვიყო,
გამხმარ ფოთლებს სულს დავულბობდი,
სიცოცხლე ვიყო?—
სიკვდილს ერთ გზას არ დავუთმობდი.

## მანგიანთა ბამბუკის წერილები

ფილიპინის არქიპელაგში შვიდი ათასზე მეტი კუნძული ითვლება, მოსახლეობის რაოდენობა კი 38 მილიონ კაცს აღწევს, რომლებიც 80 ენასა და დიალექტზე მეტყველებენ. მოსახლეობის ამ დიდ მასაში მხოლოდ 4 მილიონია ე. წ. „კულტურული უმცირესობანი“. მრავალრიცხოვანი ადგილობრივი ტომები, რომელთა შესახებ მეცნიერებამ ჯერ კიდევ ცოტა რამ იცის, თვით სახელმწიფოს დედაქალაქშიც კი, ჩამორჩენილ ტომებს მიეკუთვნებიან და ძირითადად ძნელადსავალ მთიან რაიონებში ცხოვრობენ, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სწორედ ფილიპინებზე მოხდა უკანასკნელი წლების ყველაზე სენსაციური ეთნოგრაფიული აღმოჩენები. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩამორჩენილ ტომებში ჯერ კიდევ ბევრი რამ იქნება აღმოსაჩენი.

აქ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუნძულია მინდორო, რომლის მთიან ნაწილში თითქმის პირველყოფილი ტომი — მანგიანები სახლობენ. მათი რაოდენობა 30 ათას კაცს არ აღემატება. მართალია, მანგიანთა გეოგრაფიული ჰორიზონტი ერთობ შეზღუდულია, მაგრამ მათ ყოფაცხოვრებაში იმდენი უცნაურობაა, რომ უნებლიეთ იბადება კითხვა, ამ ჩამორჩენილ ტომს საიდან აქვს ასეთი გამართული ფოსტა?

როგორც ირკვევა, მანგიანები იყენებენ მსოფლიოში ფოსტის ყველაზე უბრალო და საიმედო სახეობას. ისინი არ ხმარობენ ქაღალდსა და საფოსტო მარკებს, ავტოკალამი არც უნახავთ, მიუხედავად ამისა, შეტყობინებას მონადირეთა ნადავლის, ქორწილის ან დაბადების შესახებ ადრესატი საკმაოდ სწრაფად ღებულობს. იქ წერილი იშვიათად იკარგება.

მანგიანები ერთმანეთს ბამბუკის „წერილს“ უგზავნიან. ისინი ბამბუკის ღეროდან დანით ამოჭრიან მოზრდილ ნაწილს და მწვანე მხარეზე დანით ამოკვეთავენ მისამართს; მაგალითად, ბუსკადოს ხავალიში. იქ ყველამ იცის, რომ ბუსკადო ბამბუკის ქოხში, მდ. ხავალის კლდიან სანაპიროზე ცხოვრობს. წერილს დებენ ბამბუკის ღეროში და ხავალისაკენ მიმავალ ბილიკზე თვალსაჩინო ადგილზე ჩაარჭობენ.

პირველი გამვლელი წერილს საჭირო მიმართულებით წაიღებს. თუ იმ ბილიკიდან გადაუხვია, რომელიც ადრესატისაკენ მიდის, მაშინ მოსახვევში ჩაარჭობს ბამბუკს წვერით, ვიდრე არ გამოივლის იქითკენ მიმავალი სხვა მგზავრი. ცნობილია, რომ მანგიანები დიდი მონდომებით ეპყრობიან გასაგზავნი „წერილების“ დროულად მიტანას, ისინი გამოირჩევიან არაჩვეულებრივი პატიოსნებით, დადიან დიდი სისწრაფით, ამიტომ ბამბუკის „წერილი“ ადრესატს უფრო ადრე ბარდება, ვიდრე წერილი ქალაქის პირობებში. თუ ვინმე დიდ ჩანჩქერთან (საყოველთაო შეკრების ადგილია) წერილს იპოვის, რომელზედაც აწერია „ხელი არ ახლო“, გასაგებია, რომ ადრესატი თითონ მოვა მის წასაღებად.

საოცარი რამ არის ბამბუკის ფოსტა. ასეთი რამ არ გააჩნია დღემდე მსოფლიოს არც ერთ ტომს. რახან არის მიმოწერა, მაშასადამე, არის დამწერლობაც. საიდან აქვს დამწერლობა ასეთ ჩამორჩენილ ტომს, რომლებმაც თვლა მხოლოდ ათამდე იციან?!

ესპანელებმა როდესაც ფილიპინის კუნძულები დაიპყრეს, მათ შეამჩნიეს, რომ ადგილობრივ ტომებს თავიანთი დამწერლობა ჰქონდათ. ესპანელებმა მალე მთლიანად მოსპეს დამწერლობის მქონე მთელი ტომები, მაგრამ საუკუნის დამდეგს გამოირკვა, რომ ესპანელებისაგან იზოლირებულ სამ ტომს შემორჩა თავისი ძველი დამწერლობა.



მეცნიერთა აზრით მანგიანთა დამწერლობას ბევრი რამ აქვს საერთო ძველ ინდურ ალფაბეტთან. სამაგიეროდ, მეცნიერები დღემდე თავს იმტვრევენ და ვერ გაურკვევიათ, თუ საიდან მოხვდა ასეთი დამწერლობა ნახევრად შიშველ მთიელ მანგიანებთან?!

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მანგიანები ათ ტომად იყოფიან. ერთი ტომის მეტყველება მეორესათვის გაუგებარია, მხოლოდ დამწერლობა, უფრო სწორად, ნიშნები, ყველასათვის გასაგებია.

მანგიანები არ სვამენ მაგარ სასმელებს, არ ეწევიან თამბაქოს, ეთნოგრაფთა აზრით მანგიანების შესწავლა კიდევ ბევრ საოცრებას გამოააშკარავებს.

**გრიგოლ ზარდალიშვილი**

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბლ. ბიბლიოთეკა

# საათი



ჯანს აპრილი

იუმორისტული მოთხრობა

პეტერ ჰემპელს ჯიბის საათი ჰქონდა, რომელიც საოცარი სიზუსტით მუშაობდა. ის მარტო საათებს, წუთებსა და წამებს კი არ უჩვენებდა, არამედ თვით მზის, მთვარისა და ვარსკვლავების მდგომარეობასა და კოსმოსურ მოვლენებსაც კი აღნუსხავდა. თანაც ის დალოცვილი ბაჯაღლო ოქროსი იყო.

ერთ დღეს პეტერ ჰემპელი ტრამვაით მიემგზავრებოდა. ერთ-ერთ გაჩერებაზე კლაუსი ამოვიდა.

კლაუსი კეთილი და სათნო ადამიანია, მაგრამ ამ ბოლო დროს საგრძნობლად დააკლდა ყურს.

— გამარჯობა პეტერ, კარგა ხანია აღარ მინახავხარ. როგორ მიდის შენი საქმეები?

—ახალი ბინა მივიღე.

— რაო?

— სხვა ბინაში გადავედი! — რაც ძალი და ღონე ჰქონდა ყვიროდა პეტერი.

— აჰა, გავიგე, გავიგე, რომელ ქუჩაზე?

— ღიღილოს ქუჩაზე, თოთხმეტ ნომერში, სართული მეოთხე, ოცდამეათე ბინა.

— სად?

— ღი-ღი-ლოს ქუჩაზე! — უმარცვლავდა ხმამაღლა პეტერი.

— ღიმილის ქუჩაზე?

— ღიღილოს ქუჩა. თოთხმეტი ნომერი, სართული მეოთხე, ბინა ოცდამეათე! — ღრიალებდა პეტერი.

ტრამვაი მგზავრებით იყო სავსე. ყველა მათ მისჩერებოდა. ინტერესით უგდებდნენ ყურს.

მანძილი დიდი იყო. პეტერი და კლაუსი დაუსრულებლივ ყბედობდნენ.

—რომელი საათია? — ჰკითხა ბოლოს კლაუსმა.

— არ ვიცი! — ცა შეაზანზარა პეტერის ხმამ.

— რატომ არ იცი?

— საათი შინ დამრჩა, საწერ მაგიდაზე!

— როგორ?

— დამავიწყდა! შინ, ჩემი ოქროს საათი! საწერ მაგიდაზე!

კლაუსმა როგორც იქნა გაიგონა.

—აჰა, შინ დაგრჩა შენი ოქროს საათი, საწერ მაგიდაზე?

— ჰო!

— ცოტა ცუდათ მეყურება!

— ვიცი!

მგზავრები სიამოვნებით უსმენდნენ...

საღამოს პეტერი შინ რომ დაბრუნდა, ცოლი კართან შეეგება.

— რა უცნაურად მოიქეცი დღეს, პეტერ, — უთხრა ღიმილით ევა-მარიამ.

— მე? როდის? როგორ?

— ექვსი კაცის გამოგზავნა რად გინდოდა შენი ოქროს საათის წასაღებად?

პეტერს წნევამ აუწია.

— მე? მე გამოვგზავნე?

— მაშ, ის რა იყო, ექვსი კაცი რომ ერთმანეთს ფეხდაფეხ მოჰყვა და ყველა ერთსა და იმავეს გაიძახოდა — პეტერს საწერ მაგიდაზე ოქროს საათი დარჩა, პეტერმა გამოგვგზავნაო. მე პირველსავე მომსვლელს გამოვატანე. დანარჩენები რაღა საჭირონი იყვნენ?!

გერმანულიდან თარგმნა
**შ. ამირანაშვილმა**

## ფრთხილად, გულშემატკივრები

როცა ინგლისური კლუბის „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები თავიანთ მინდორზე გამოდიან, ისინი პირველ რიგში ხელის ქნევით ესალმებიან ტრიბუნის ერთ მხარეს. პასუხად გაისმის მეგობრული, „კარგად დამუშავებული" ღრიალი. ამ დროს გამოჩნდება მოწინააღმდეგეთა გუნდი. იგივე ტრიბუნა ამ გუნდისადმი სიძულვილით აღვსილი სტვენას მოჰყვება. ეს ფანატიკოსთა ტრიბუნაა. ამ ტრიბუნის მუდმივი წევრები აუცილებლად საყვარელი გუნდის ფორმისფერ ტანსაცმელს იცვამენ. ხელში უჭირავთ თეთრი და წითელი ბაირაღები, რომლის ტარს ჩხუბის დროს იყენებენ. ჩხუბის გარეშე იშვიათად თუ ჩატარდება მატჩი. შარშანდელ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედის" ადმინისტრაციამ საჭიროდ სცნო ეს ვულკანისებური ტრიბუნა სტადიონისგან იმ ფოლადის გისოსებით გამოეყოთ, რომლისგანაც საშიში მტაცებელი ცხოველებისთვის ზოოპარკში გალიებს ამზადებენ.

ამ ამბავს სრულებით არ აუღელვებია ფანატიკოსები. პირიქით, მათ ეს პატივად მიიღეს. ყველას როდი უშვებენ ამ გალიაში, ეს უნდა დაიმსახურო.

# ნარევი

● ამერიკელმა დალაქმა გერი ჰარლიმ ამ რამდენიმე ხნის წინათ ერთ საათში 180 კაცის გაპარსვა მოასწრო და მსოფლიოში ყველაზე სწრაფი დალაქის ტიტული დაისაკუთრა.

● ლოს-ანჟელოსის ერთ-ერთ სამშობიარო სახლში გამოკრულია ასეთი განცხადება: „სამშობიაროში შესვლის უფლება აქვს მხოლოდ მელოგინე ქალის ქმარს, ან მის მოადგილეს".

● ამას წინათ ინგლისის ქალაქ შეფილდში გარდაიცვალა ვინმე ბლეკხერსტი, რომელმაც სხვადასხვა რაოდენობის თანხა დაუტოვა თავის მემკვიდრეებს.

ანდერძის მიხედვით, ყველაზე მეტი თანხა — 22 ათასი ფუნტი სტერლინგი წილად ხვდა გარდაცვლილის საყვარელ კატას — ბლეკის.

● ორმოცი წლის ბენ ჯონსონმა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ისტოვერში (სამხრეთ კაროლინას შტატი) პოლიციის შეფის თანამდებობაზე მხოლოდ ორი დღე გასძლო.

მუშაობის დაწყებიდან მესამე დღეს ბენ ჯონსონი, რომელიც დამნაშავეებს აპატიმრებდა, თვითონვე დააპატიმრეს. პოლიციის შეფს ბინაში აღმოუჩინეს იატაკქვეშ მოწყობილი ბანქოს სათამაშო ოთახები.

● კიბოს წინააღმდეგ მებრძოლმა საზოგადოებამ ამას წინათ გამოაქვეყნა თავისი გამოკვლევის შედეგები, რომელშიც აღნიშნულია, რომ ახალ ზელანდიაში ყოველი სამი ბავშვიდან ორი ბავშვი შვიდი-რვა წლის ასაკიდან თამბაქოს წევას იწყებს.

● იაპონელ ქალებს აბანოთი სარგებლობა ძველთაგანვე გაცილებით უფრო ძვირი უჯდებათ, ვიდრე მამაკაცებს. ეს გარემოება იმით არის გამოწვეული, რომ ქალებს გრძელი თმები აქვთ და თავის დასაბანად მეტ წყალს ხმარობენ. იაპონიაში ამას წინათ გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომ გრძელთმიანმა კაცებმა აბანოში ახლა იმდენივე უნდა გადაიხადონ, რამდენსაც ქალები იხდიან.

● ქალაქ ცინცინატში (აშშ) მცხოვრებმა ცხრამეტი წლის ტრევორ შმიტმა პოლიციელს „ღორის დინგიანი" უწოდა. იგი მაშინვე დააპატიმრეს. მოსამართლემ ასეთი განაჩენი გამოიტანა: ტრევორ შმიტმა პოლიციელის შეურაცხყოფისათვის ან 100 დოლარი ჯარიმა უნდა გადაიხადოს, ანდა რამდენი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკვერჩალ-ზღაპრები

ფელიქს კრივინი

## შემოდგომა

არყის ხე გრძნობს, რომ მისი სილამაზე ხუნდება, დიდი სურვილი აქვს გაახანგრძლივოს ზაფხული, ამიტომაც იგი შემოდგომის ასაკისათვის ყველაზე მოდურად, ყვითლად ილებება...

სწორედ მაშინ დაინახა ყველამ, მისი შემოდგომა რომ დადგა.

## სინაზე

სხივები თოვლივით იფანტებიან მიწაზე, მაგრამ სრულიად სხვაგვარად ათბობენ მას.

თოვლი ახვევდა მიწას ქურქში; ურჩევდა, თავს გაფრთხილებოდა, მკაცრად დაეცვა ლოგინის რეჟიმი.

რას იზამ? ჩანს, თოვლს ჰქონდა ამის უფლება...

სხივები ჰაერში სხლტებიან, თითქოს ვერ ბედავენ მიწას შეეხონ; მათ არ აქვთ თბილი ქურქი. არ აქვთ ბრძნული რჩევები.

მათ რჩებათ მხოლოდ ერთი — თავისი სინაზით გაათბონ მიწა.

## სიყვარული

ბალახის ღეროს მზე შეუყვარდა...

რა თქმა უნდა, მისგან საპასუხო სიყვარულს არ მოელოდა: მზეს იმდენი საზრუნავი აქვს დედამიწაზე. სადა აქვს დრო პატარა, შეუხედავი ბალახის ღეროს მიაქციოს ყურადღება? გარდა ამისა, სად მზე და სად ბალახის ღერო, რა მისი წყვილია?!

მაგრამ ბალახის ღეროს ეს არ ესმოდა, მთელი ძალით მიიწევდა მაღლა, მზისკენ, ისე ჯიუტად მიიწევდა, რომ ტანაყრილ აკაციად იქცა.

ლამაზია აკაცია, მშვენიერია აკაცია — ახლა ვინ შეიცნობს მასში ბალახის ღეროს?!

აი, რა შეუძლია სიყვარულს, ცალმხრივსაც კი!

## შემოდგომის ზღაპარი

...გაიხედე სარკმელში, ხედავ, იმ მარტოხელა ფოთოლს ქარი როგორ ატრიალებს?!

ეს უკანასკნელი ფოთოლია...

ახლა ის ყვითელია, ოდესღაც კი მწვანე იყო...

იყო ტოტზე თავის ახალგაზრდა, წითელი ალუბლის გვერდით, რომელიც მთელი გულით უყვარდა.

ქარი ხშირად ეუბნებოდა მას:

— წამოდი, ვიხეტიალოთ ამქვეყნად! ყველგან იმდენი წითელი ალუბალია.

ფოთოლი არ თანხმდებოდა. რად უნდოდა ბევრი ალუბალი, როდესაც მას ჰყავდა ერთი თავისი ალუბალი — ყველაზე უკეთესი ამქვეყნად.

უეცრად ალუბალი გაუჩინარდა, არავინ იცოდა, სად გაქრა იგი.

ცივი შემოდგომა იდგა. რახანია ფოთლები ხიდან ჩამოცვივდნენ. მხოლოდ ერთი ფოთოლი, გამხმარი, დარდისაგან გაყვითლებული დარჩა ტოტზე: იგი ელოდა, ჯერ კიდევ ელოდა, რომ ალუბალი დაბრუნდებოდა.

— აქ რას გახდები? — უთხრა ქარმა, — წამოდი, ვეძებოთ, იქნებ ვიპოვოთ!

ქარმა უფრო მძლავრად დაუბერა და ისინი გაფრინდნენ...

...გაიხედე სარკმელში, ხედავ, მცივანა მუქი ხეები სიცივისაგან როგორ აბუზულან?!

ზამთრისათვის ყველა იმოსება, ისინი კი, პირიქით, შიშვლდებიან.

...აგერ, ხედავ, ქარი ატრიალებს უკანასკნელ ყვითელ ფოთოლს. იგი სიყვარულის ერთგული ფოთოლია, ჯერ კიდევ თავის ალუბალს რომ დაეძებს.

თარგმნა ა. ანთაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვეყნის სკივრიდან

მემკვიდრის დაბადებით გახარებულმა ერთმა მეფემ გამოაცხადა, რომ საპყრობილეებში პატიმრებს განახევრებოდათ პატიმრობის ვადა.

იურისტებმა მეფის ბრძანება რომ მიიღეს, დიდ გასაჭირში ჩავარდნენ; როგორ მოქცეოდენ მათ, ვისაც სიკვდილამდე პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი. ამ ამოცანის გადასაწყვეტად დიდხანს იმტვრევდნენ თავს, სანამ მათ შორის ყველაზე საზრიანმა არ წამოიძახა: „მოვიფიქრეო“.

როგორ გგონიათ, რა გადაწყვეტილებას მიაგნო მან?

ეს იყო გენიალურად უბრალო და ლოგიკური, იგი ურჩევდა სიკვდილამდე პატიმრობა მისჯილნი მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთ დღეს სახლში გაეშვათ, ერთ დღეს კი საპატიმროში ჰყოლოდათ.

* * *

ერთ ქალაქში გამოჩნდა მისანი, რომელიც გასამრჯელოს მიღების შემდეგ მომავალ მშობლებს უწინასწარმეტყველებდა გოგო შეეძინებოდა თუ ბიჭი. წინასწარმეტყველის ქების ხმა მალე მთელ ქვეყანას მოედო. მისანს კლიენტებისაგან მოსვენება აღარ ჰქონდა. წინასწარმეტყველი არასოდეს ცდებოდა, მაგრამ ხდებოდა უცნაური ამბავი: დროთა განმავლობაში იზრდებოდა ისეთ კლიენტთა რიცხვი, რომლებიც არასწორად იგებდნენ წინასწარმეტყველებას და მოტყუებული რჩებოდნენ.

ერთი მოტყუებული კლიენტი დიდხანს ფიქრობდა ამ ამბავზე და ბოლოს დაადგინა, თუ რაში მდგომარეობდა მისნის წინასწარმეტყველება.

საიდუმლოება კი სრულიად უბრალო იყო.

წინასწარმეტყველი აწარმოებდა იმათ აღრიცხვას, ვინც მას მიმართავდა. იგი იწერდა მშობლების სახელებს და ვისაც ეტყოდა, რომ ბიჭი ეყოლებოდათ, წიგნში გოგოს ჩაწერდა.

ამ მშობლებს თუ ბიჭი ეყოლებოდათ, გაკვირვებულები რჩებოდნენ მისნის სიზუსტით და ქებით რეპუტაციას უმაგრებდნენ მას. მშობლებს თუ გოგო დაებადებოდათ, გაჯავრებულნი მიეჭრებოდნენ წინასწარმეტყველს, ეს უკანასკნელი მათ თავაზიანად მიიღებდა, დაამშვიდებდა, ჰკითხავდა სახელებს და ჩანაწერების წიგნში, სადაც აღნიშნული ჰქონდა „გოგო“, აჩვენებდა რომ მათ, მართლაც, გოგო უნდა ჰყოლოდათ.

გაცრუებული მშობლები მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, თუ როგორ მოხდა, რომ ვერ გაიგეს მისნის წინასწარმეტყველება, ამაზე კი უკვე აღარაფერს ამბობდნენ.

მე ხანი დაჰყოს ღორებთან, გაეცნოს მათ და დაწეროს თხზულება იმის შესახებ, თუ რა განსხვავებაა ღორსა და პოლიციელს შორის. ბრალდებულმა ჯარიმის გადახდას ღორებთან ყოფნა და თხზულების დაწერა არჩია.

● დასავლეთ გერმანიის ქალაქ ტრირში სასამართლომ განიხილა საქმე. ქალაქის ერთ-ერთი ფოსტის თანამშრომლისა, რომელიც, როგორც გამოირკვა, შვიდი წლის განმავლობაში ფოსტაში შემოსული წერილების ნაწილს იპარავდა. ბრალდებულმა აღიარა, რომ იგი ფილატელიით არის გატაცებული და წერილებს მარკების გამო იპარავდა. სასამართლომ დამნაშავეს პატიმრობა მიუსაჯა.

● კუნძულ სარდინიაზე მცხოვრებ სინიორა ფრანჩესკა კესას ჩადენილი დანაშაულისათვის პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ როგორც კი დადგინდა, რომ ბრალდებული ფეხმძიმედ იყო, მაშინვე დროებით გაათავისუფლეს (იტალიაში კანონით სასტიკად აკრძალულია ფეხმძიმე ქალების დაპატიმრება). ციხეს რომ გაქცეოდა, ფრანჩესკა კესამ ეშმაკობას მიმართა: ზედიზედ ფეხმძიმდებოდა და ოჯახში ატარებდა დროს.

ამჟამად იგი მეთვრამეტე შვილს ელოდება.

— მეცხრამეტე აღარ იქნება! — განაცხადა გაბეზრებულმა ფრანჩესკა კესას ქმარმა, — დაე, ჩემმა ცოლმა დანაშაული ციხეში მოიხადოს!

● მიმდინარე წლის შემოდგომისათვის ნიუ-იორკში ხოლსტონის მოდების სახლმა ორიგინალური მოდები შეიმუშავა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ახალი ბიუსტჰალტერი, რომელიც წმინდა ოქროსაგან არის დამზადებული.

სპეციალისტების აზრით, ოქროს სამოსი სახმარებლად მეტად მოხერხებულია, საკმაოდ გამძლე და ვინაიდან ოქროს ფასი იზრდება, კაპიტალის შენახვის საიმედო საშუალებაც გახლავთ.

# ჭრელ-ჭრელი ამბები

ჭრელ-ჭრელი ამბები

ჭრელ-ჭრელი ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ხ ვ ე ლ ე ბ ი ს საწინააღმდეგო ტაბლეტები

ცნობილი დირიჟორი ჰერბერტ ფონ კარაიანი კონცერტის დაწყებამდე მაყურებელს ხველების საწინააღმდეგო ტაბლეტებს ურიგებს.



## ლუი დე ფიუნესი გამომგონებელი

ცნობილი პიროვნებების უმრავლესობას აუცილებლად აქვს ჰობი. განთქმული ფრანგი კინომსახიობი ლუი დე ფიუნესი ამ მხრივ გამონაკლისი როდია. მისი გატაცება შორსაა კინოხელოვნების სამყაროდან: თავისუფალ დროს იგი მთელი არსებით გამომგონებლობით არის გატაცებული და რა თქმა უნდა, იგი არ კარგავს მისთვის დამახასიათებელ იუმორის გრძნობას. სწორედ ამიტომ მისმა თაყვანისმცემლებმა ლუი დე ფიუნესს მეტსახელად „ტექნოკომი" შეარქვეს. მსახიობის ერთ-ერთი უკანასკნელი პარადოქსალური სიახლეთაგანია: კატერის კომბინაცია „სიტროენის" მარკის ავტომობილთან, რომელიც გემბანთან თავდაყირა არის მიმაგრებული.

## შუბერტი, ბეთჰოვენი, შტრაუსი და კოქტეილი

ავსტრიაში 200-ზე მეტ სავაჭრო და სამრეწველო საქონელს ცნობილ კომპოზიტორთა სახელები ჰქვია. აქ იყიდება შოკოლადი, პაპიროსი, პერანგი, წინდები, რომელთა საფუთავზე მოცარტის პორტრეტია გამოსახული; ვენის ერთ-ერთ კაფეში იყიდება კოქტეილი „შუბერტის სიმღერები". ფირმა „ბეთჰოვენი" ცხვირსახოცებსა და კარვებს უშვებს, ხოლო ფირმას, რომელიც ელეგანტურ ლაქის ფეხსაცმელებს უშვებს, „შტრაუსის ვალსი" ეწოდება.





## ამაო ჩხრეკა

ჯოან კოუზენსი, ინგლისელი დიასახლისი მეტად გაკვირვებული დარჩა, როდესაც პოლიცია მის სახლში შეიჭრა. ისინი ეძებდნენ ვერმეერის სურათს „გიტარაზე დამკვრელი ქალი", რომელიც ორი მილიონი ფუნტი სტერლინგი ღირს. პოლიციელებმა მიიღეს ცნობები, რომ გატაცებული სურათი სწორედ ამ სახლში ინახებოდა. მართლაც, ჯოან კოუზენსი ფლობდა პირს, რომელიც თვითონ რამდენიმე წლის წინ დახატა. მან განცვიფრებულ პოლიციელებს უთხრა: „თუ გნებავთ თქვენთვის კიდევ ერთს დავხატავო".

## მუსიკოსის ექსპერიმენტი

ცნობილმა ნორვეგიელმა მევიოლინემ არვე ტელეფსენმა ჩაატარა ექსპერიმენტი: ერთ დილით მან დახეული პალტო ჩაიცვა, თავზე ძველი ქუდი ჩამოიფხატა და დადგა ვიოლინოთი ხელში ოსლოს ცენტრის ერთ-ერთ კუთხეში. მის ახლოს „ქუჩის მუსიკოსის" მოსასმენად მაშინვე რამდენიმე გამვლელი შეჩერდა. მასში ვერავინ ვერ შეიცნო მაესტრო. ტელეფსენის ფეხებთან რამდენიმე გროში დააგდეს. მსმენელთა ნაწილი აქებდა ტელეფსენს, სხვები აკრიტიკებდნენ, ხოლო ერთმა გამვლელთაგანმა, მუსიკალური სკოლის დარაჯმა, რომელიც თითქმის ორი საათი უსმენდა მას, ასე დაასკვნა: „ყმაწვილო, შენ ნიჭიერი ხარ, მხოლოდ ტექნიკა გაკლია".



## ბიბლია თუ შექსპირი?

რას უფრო კითხულობენ ამერიკელი პატიმრები — ბიბლიას თუ შექსპირს? ან იქნებ სიმენონს ან აგატა-კრისტის?

ამერიკის იუსტიციის სამინისტრო ჩაუფიქრდა ამ პრობლემას და საპატიმროთა ბიბლიოთეკებში სათანადო ანკეტები დაიგზავნა. სამწუხაროდ, პატიმართა უმრავლესობას არ გამოუჩენია მიდრეკილება არც სალვთო წიგნების, არც კლასიკოსებისადმი და არც დეტექტივისადმი. პირველ ადგილზე მოთხოვნილების სიმრავლის მიხედვით ფრიად კონკრეტული მიმართულების, მხოლოდ ორი წიგნი გამოვიდა. ესენია: „მეტალების ჭრის თანამედროვე ტექნიკის მოკლე კურსი" და „ხელმძღვანელობა საზეინკლო საქმეში დამწყებთათვის".

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე: ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები. თარხან არჩვაძის ფოტო.

გადაეცა ასაწყობად 9/VIII-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/IX-75 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 52 100 შეკვ. № 3092. უე 02021. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66,
პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ИНДЕКС 76056

ელექტრონული ბიბლიოთეკა



შემოდგომის ბარაქა.

ფოტოეტიუდი ზ. დათუაშვილისა.

# კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 4. რუსი სამხედრო ინჟინერი-ფორტიფიკატორი. 7. შუქმგრძნობიარე პრეპარატი. 8. მდინარე საქართველოში. 9. სისხლის წნევის დაქვეითება. 12. ჭიქურითა და ნახატებით დაფარული გამომწვარი თიხა. 14. მიბაძვა. 16. სამარკო ღვინო. 18. ზღვას მიმოქცევის დროს დაფარული ნაპირის ზოლი. 19. განცხადება. 20. მარცხი. 21. მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი. 22. ყვავილედის ერთ-ერთი ტიპი. 24. მდინარე თბილისში. 25. უფერული გაზი. 27. ერთი დედააზრით გაერთიანებული სამი ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები. 29. აღნიშვნა, რეგისტრაცია. 30. ლიტერატურისა და ხელოვნების ჟანრი ევროპაში. 31. ძველბერძნული სახელმწიფო. 32. XVIII საუკუნის ინგლისელი მწერალი. 33. ნავთობის მშრალი გამოხდით მიღებული ორგანული ნაერთი.

ვერტიკალურად: 1. მოღვაწეობა, დამოკიდებულება. 2. სამძებრო პოლიციის აგენტი ინგლისსა და ამერიკაში. 3. სამკურნალო პრეპარატი. 5. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში. 6. ჰერმეტულად დახურული ჭურჭელი. 10. სანაოსნოდ გამოსადეგი წყლის სივრცე. 11. საფოსტო მარკების შეგროვება, შესწავლა. 13. წყვილთა ცეკვა. 15. ორ პუნქტს შორის მოქცეული სივრცე. 16. უნაგირის კეხის წინა და უკანა. 17. მოლოდინი, რწმენა. 23. კვერცხების გასაშუქებელი ნათურებიანი ხელსაწყო. 24. კოვბოური ფილმი. 26. მედიცინის ნაწილი. 28. ელექტრომაგნიტური მოწყობილობა. 29. საგაზეთო სტატია.

შეადგინა გ. რუხაძემ.

ИНДЕКС 76056







ეროვნული ბიბლიოთეკა















# დროშა